

ქართველთა სულიერი ერთიანობის დღესასწაული

14 ოქტომბერს ქართველი ერი აღნიშნავს ქართული ეკლესიის განსაკუთრებულ დღესასწაულს. ეს არის დღესასწაული უფლის კვართისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე მირონმდინარე სვეტისა — სვეტიცხოვლობა-მცხეთობა.

როგორც „მოქცევაი ქართლისაი“ მოგვითხრობს, საუფლო კვართი „უკერველი, ზეით გამოქსოვილი ყოვლად“ წილისყრით შეხვედრია მცხეთის მკვიდრ ებრაელთა რაბინს ელიოზს (ელიაზარს), რომელიც იერუსალიმში მოწმე გახდა უფლის ვნებებისა.

როცა ელიოზმა კვართი მცხეთაში ჩამოიტანა, აქ მას მოეგება მისი და სიდონია, მან გამოართვა კვართი, „შეიტკბო მკერდსა თვისსა და მყის მასვე ჟამსა სულნი წარხდეს მას მწუხარებით“. სიდონია კვართითურთ დაკრძალეს სამეფო ბაღში, ლიბანის ნაძვის მახლობლად. აქვე ყოფილა დაკრძალული ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი).

წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ჟამს, როცა საუფლო კვართის ადგილზე ქართლის მეფე მირიანმა ქრისტიანული დედაეკლესიის აგება გადაწყვიტა, მოხდა სვეტიცხოვლის სასწაული. მოჭრეს საფლავზე ამოსული უზარმაზარი ნაძვი, რათა იგი ტაძრის მშენებლობაში უმთავრეს სვეტად გამოეყენებინათ, მაგრამ მისი წამოწევა ვერაფრით შეძლეს. წმინდა ნინო მთელი ღამე ევედრებოდა ღმერთს შეწევნას. და იხილა მან ნათელით მოსილი ჭაბუკი, რომელმაც იმავე ადგილზე აღმართა ნაძვის სვეტი, სადაც ამოსულიყო. იგი დიდ ბრწყინვალებასა და სურნელებას გამოსცემდა, ძირიდან კი მირონი წარმოსდინდებოდა. ასე მიუთითა ანგელოზმა ის ადგილი, სადაც უფლის კვართი იყო დაკრძალული და, სადაც ახალი ტაძარი უნდა აშენებულიყო.

ეს დიდი მოვლენა გამოსახულია წმინდა ხატზე, რომელსაც „ქართული ეკლესიის დიდება“ ეწოდება.

შემდგომში ამ ხის ტაძრის ადგილზე დიდებული ტაძარი ააგეს, რომელსაც სვეტიცხოველი ეწოდა სასწაულებრივი მოვლენის აღსანიშნავად.

ამჟამად ეს სვეტიცხოველი, მრავალი წლის განმავლობაში განკურნებათა და საკვირველმოქმედებათა წყარო რომ იყო, მოქცეულია ქვის ოთხკუთხოვან სვეტში, ხოლო მის გვერდით მოთავსებულია უფლის საფლავის მაკეტი.

უფლის კვართისა და ღვთაებრივ ბრწყინვალე მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტის პატივსაცემად საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის მიერ ძველთაგანვე დაწესებული იყო დიდი დღესასწაული — სვეტიცხოვლობა-მცხეთობა.

მიუხედავად საქართველოში არსებული მძიმე ვითარებისა, ამჟამად ეს დღე ტრადიციისამებრ აღინიშნება. ყველა მოქმედი ეკლესიის წინამძღვრები აღავლენენ საზეიმო წირვა-ლოცვას, შეავედრებენ უფალს ჩვენს მამულს, ამერ-იმერს, ქართველ ერს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აღავლენს ლოცვას და საზეიმო წირვას, მოუწოდებს ქართველებს თანადგომისა და ერთობისაკენ, მიმტევებლობისა და რწმენისკენ, სიყვარულისა და სიკეთისაკენ.

სვეტიცხოვლობა — ერის სულიერი გამთლიანების დღესასწაული — დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება, რადგან ახლა, როცა ომით განაწამებ ჩვენს ქვეყანას კვლავ ტყვიების ზუზუნი ესმის, თანხმობა, ერთობა, ურთიერთმიმტევებლობა ჩვენი ფარი და მახვილია.

ამ რწმენით უნდა ავანთოთ სანთლები, შევავედროთ უფალს ჩვენი სამშობლო, შევთხოვოთ მას, დაგვაძლევინოს გაჭირვება, დაგვიცხროს ვნებათაღელვა, მოგვცეს ძალა, განვდევნოთ ჩვენი სულებიდან ბოროტი, აღვივსოთ სიყვარულითა და ერთობით.

დიახ, მხოლოდ ერთობა, თანადგომა, სიყვარული, ჭეშმარიტების აღიარება შეგვაძლებინებს გამოვიყვანოთ ქვეყანა ამ მძიმე ვითარებიდან, რათა ჩვენს მრავალტანჯულ მამულს კვლავ დაუბრუნდეს მშვიდობა, იზეიმოს პატიოსნებამ და სამართლიანობამ.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 225 (753) | ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 1993 წელი | ფასი 100 კუპონი.

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

სამტრედია. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, სამტრედიის სამხედრო შტაბის უფროსის გელა ლანჩავას ცნობით, 12 ოქტომბერს ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიერ სამტრედიის დაბომბვის შემდეგ, აქ სიმშვიდეა, შეწყვეტილია ცეცხლი. 13 ოქტომბერს, დილის 4 საათზე საქართველოს მთავრობის შეიარაღებულმა ფორმირებებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ტანკი და დანადგარი „ნურსი“. მოწინააღმდეგის მხარეს არის მსხვერპლი.

• • •

ოზურგეთი. ოზურგეთის გამგებელმა გია გოგიბერიძემ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ ქალაქსა და მის შემოგარენში სიმშვიდეა. მთავრობის სამხედრო ძალები აკონტროლებენ ვითარებას, უზრუნველყოფენ მოსახლეობის უსაფრთხოებას.

ამჟამად ოზურგეთში შევადასამდე ლტოლვილია. რაიონის ხელმძღვანელობა და მოსახლეობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დაეხმარონ მათ ტანსაცმლით, პროდუქტებით, შეძლებისდაგვარად ათავსებენ ოჯახებსა და პანსიონატებში.

●

საქართველოს ერთიანობას დაიცავს

13 ოქტომბერს დედაქალაქის სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ თბილისელები, რათა შეექმნათ „სახალხო ლაშქარი“. თუმცა აქამდე ასეთი ჯგუფები ცალ-ცალკე არსებობდა, მაგრამ ახლა „სახალხო ლაშქარი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი ხაინდრავა, საერთო კოორდინაციას გაუწევს არსებულ ჯგუფებს.

„სახალხო ლაშქრის“ ძირითადი ამოცანაა დაიცვას წესრიგი სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, და, რაც მთავარია, ლაშქარში გაერთიანებული მოქალაქეები გვერდში ამოუდგნენ მამულისათვის მებრძოლებს და მათთან ერთად დაიცვან საქართველოს ერთიანობა.

შეკრებაზე თხოვნით მიმართეს იმ ორგანიზაციებს, სადაც შექმნილია ცალკეული შტაბები, რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარონ „სახალხო ლაშქარს“ სურსათით, ტანსაცმლით თუ სხვა საჭირო ნივთებით და მიიტანონ ქალაქის მერიის მეორე სართულზე.

შეკრებას ესწრებოდნენ ქალაქის კომენდანტი ზაზა ჩაჩუა, გვარდიის სამმართველოს უფროსი ჯემალ ჭუმბურიძე და სხვა ოფიციალური პირები.

ბულიკო მარკოზაშვილი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: მე მივმართავ თხოვნით ყველას, წაიკითხონ თანამეგობრობის წესდება და თუ იქ რაიმეს აღმოაჩენთ, რაც საფრთხეს უქადის საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, საქვეყნოდ მოვიხდი ბოდიშს და ვთხოვ პარლამენტს, არ დაამტკიცოს ჩემ მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველო გახდება ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის წევრი

1993 წლის 7-11 ოქტომბერს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის წლიური სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თამაზ გამყრელიძისა და კომისიის წევრის ზურაბ ანდრიაძის შემადგენლობით.

სესიის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ, რომელმაც სესიას გააცნო სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ჩრდილოატლანტიკური ასამბლეისადმი. გთავაზობთ ამ გამოსვლას:

ბატონო თავმჯდომარევ, ქალბატონებო და ბატონებო, ჩემთვის პატივი და განსაკუთრებული პრივილეგიაა ამ სხდომაზე გამოსვლა.

უწინარესად მინდა მადლობა მოვახსენო ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის პრეზიდენტს კოპენჰაგენში საქართველოს დელეგაციის, როგორც ასამბლეის ყოველწლიურ სესიაზე მეთვალყურის მოწვევისათვის. ესოდენ მაღალი დონის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში ჩვენი მონაწილეობა, ვიმედოვნებ, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას მიაპყრობს კავკასიის ამასწინანდელ ამბებს, რომლებსაც, სამწუხაროდ, სერიოზული შედეგები მოჰყვება პოლიტიკისა და სამხედრო ურთიერთობათა სფეროში არა მარტო ამ რეგიონში, არამედ შორს, მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო კვირების მანძილზე დომინირებდა დრამატული მოვლენები აფხაზეთში, ომი, რომელიც სეპარატისტული ძალების მიერ აფხაზეთის მთელი ტერიტორიის, საქართველოს ამ ავტონომიური რესპუბლიკის დაპყრობით დამთავრდა.

ეს მოხდა მალე მას შემდეგ, რაც ათი დღის განმავლობაში დაუცველი სოხუმის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ხანგრძლივი და განუწყვეტელი იერიშები, რომლებსაც თან ახლდა სასტიკი საარტილერიო ცეცხლის დაშენა და ქალაქის საცხოვრებელი უბნების დაბომბვა, რამაც მშვიდობიანი მოსახლეობის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია. უხეშად გაითელა მორალისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები. გენოციდმა და ეთნიკურმა წმენდამ მოიცვა ახლა აფხაზეთის მთელი ტერიტორია. როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, — მომყავს ციტატა, — „სსრ კავშირის დაშლის შემდეგ პირველად ეთნიკურმა უმცირესობამ, ესე იგი აფხაზებმა, თავიანთი ძალაუფლება დაამყარეს აშკარა ძალადობისა და ტერორის საშუალებით.

მათი ლიდერები წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, რომ არა გარეშე ძალების მონაწილეობა. აფხაზური სეპარატიზმი ასაზრდოვა, წააქეზა და წარმართა იმპერიალისტურმა რუსეთმა, სახელმწიფო კომუნისტური რევანშის რუსეთმა“.

ეს სიტყვები დრამატულად დაადასტურა მოსკოვის ამასწინანდელმა მოვლენებმა, როცა ამ იმპერიალისტურმა ძალებმა გვიჩვენეს თავიანთი სახე. საკმარისია ითქვას, რომ ეგრეთ წოდებული თეთრი სახლის დამცველთა შორის რუცკოისა და ხასბულატოვის მხარეზე იყვნენ აფხაზეთის ის ბოევიკები, რომლებმაც ამდენი უბედურება და ტანჯვა-ვაება მოუტანეს ჩვენს სამშობლოს.

ქართველი ეროვნების ათასობით ლტოლვილი ფეხით მოდის აფხაზეთიდან კავკასიონის მთების გავლით. სიცივისა და შიმშილისაგან გზაში იხოცებიან ქალები, ბავშვები და მოხუცები. 50 ათასამდე ლტოლვილი დათოვლილ მაღალ მთაში დაყოვნდა. კონფლიქტის შედეგად მშობლიური ადგილებიდან განდევნილ ადამიანთა რიცხვმა 150 ათასს მიაღწია.

მცირეოდენი ქართველობა, რომელიც ჯერ ისევ კონფლიქტის ზონაში იმყოფება, მუდმივ საფრთხეშია, და იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები დაეხმარებიან ევაკუაციაში.

საქართველოს ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს უბედურების ზონაში მყოფი ადამიანებისათვის დახმარების გასაწევად. მაგრამ ჩვენ არა გვყავს ამდენი ძალები ლტოლვილთა დასახმარებლად და გვჭირდება მეტი საერთაშორისო დახმარება, როგორც ჰუმანური, ასევე ტექნიკური.

ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ გაწეული დახმარებისათვის, მაგრამ ვთხოვთ მსოფლიო გაერთიანებას გააფართოოს მისი მასშტაბი.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოქალაქეების — სეპარატიზმისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა გადარჩენაში მონაწილეობა გაიზრდება ამ პროცესში სულ ახალ-ახალი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩაბმის შედეგად.

საქართველოსათვის თავსდატეხილი კატასტროფის მასშტაბი დაუყოვნებლივ მოითხოვს დახმარების შეთანხმებულ საერთაშორისო პროგრამას. ჩვენ მოვუწოდებთ ნატოს ასამბლეას გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და ძალა ამ პროგრამის განსახორციელებლად. ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯად მიგვაჩნია საქართველოსა და მისი ახლად არჩეული პარლამენტის შესაძლო წევრობა ჩრდილოატლანტიკური კავშირის ასამბლეაში, რაც მოგვცემს შესაძლებლობას აქტიურად ვითანამშრომლოთ ამ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ წავიკითხო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოწოდება ასამბლეისადმი.

მის აღმატებულებას ლოიკ ბუვარს, ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის თავმჯდომარეს

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

მოხარული ვარ, რომ მეძლევა შემთხვევა მოგმართოთ თქვენ და თქვენი სახით ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სესიის მონაწილეებს.

უკანასკნელი დროის მოვლენებმა ცხადყვეს, რომ იმპერიული ძალები უბრძოლველად არ თმობენ პოზიციებს. ლაპარაკი მაქვს 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუტჩის ორგანიზატორებსა და მათს თბილისელ და სოხუმელ მხარდამჭერებზე. ისევე როგორც 1990 წელს, ახლაც, სოხუმის დაცემის შემდეგ, მე კვლავ ვიწინასწარმეტყველი, რომ ეს ძალები ჯერაც ცოცხლობენ და რევანშის ცდა გარდაუვალია. რაოდენ სწრაფად გამართლდა ეს პროგნოზი! ძნელი არ არის მოსკოვში უკანასკნელ დღეებში მოწყობილი სისხლისღვრის ინიციატორთა, აფხაზეთის ტრაგედიის ავტორთა და მათ ხელისშემწყობთა და დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის გამჩაღებელთა ერთიანი ხელწერის ამოცნობა. მათ ხომ მოქმედების ერთიანი დროც შეარჩიეს და ერთიანი გეგმაც ჰქონდათ.

ყოველწლიური სესიის მონაწილეთა ყურადღებას ყოველივე ამას იმიტომ მივაპყრობთ, რომ ერთხელ კიდევ აღვნიშნო — იმპერიის დანგრევით იმპერიული აზროვნება არ დანგრეულა. ეს უკანასკნელი ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია, მას სისხლიანი აგონია სდევს თან. ახლად აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები იმედის თვალით შეჰყურებენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, როგორც ევროპაში, და არა მხოლოდ ევროპაში, მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს და ხედავენ მასში ძალას, რომელსაც შეუძლია ამ პროცესის მშვიდობიანი დასრულება. როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, საქართველო მოხარული იქნება ითანამშრომლოს ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეასთან და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ახალი, ცივი ომის შემდგომი ევროპის მშენებლობაში.

გულწრფელად თქვენი,

ედუარდ შევარდნაძე.

თავის საპასუხო სიტყვაში ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის პრეზიდენტმა ბატონმა ლოიკ ბუვარმა საქართველოს დელეგაციას აღუთქვა ასამბლეის უახლოეს მორიგ სხდომაზე ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეაში საქართველოს რესპუბლიკის გაწევრიანება.

ესაუბრა კენთ ბრაუნს

12 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა, ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენთ ბრაუნი და ლტოლვილთა დახმარების დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ეს ის დელეგაციაა, რომელმაც ამ რამდენიმე დღის წინათ თვითმფრინავით ჰუმანური დახმარება, სასურსათო პროდუქტები და მედიკამენტები ჩამოიტანა აფხაზეთიდან ლტოლვილთათვის, რომლებიც ახლა სვანეთის რეგიონში იმყოფებიან.

დელეგაცია ეწვია ქუთაისს, მესტიასა და ჭუბერს, თავისი თვალით იხილა უკიდურესად მძიმე ვითარებაში ჩავარდნილი ხალხი, გადასცა მათ ჰუმანური დახმარება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დელეგაცია მუშაობს მოკლევადიან დახმარებაზე, რაც გულისხმობს დაზამთრებამდე ლტოლვილთათვის სასწრაფო დახმარებას, დელეგაცია აგრეთვე შეაფასებს შექმნილ სიტუაციას და ამერიკაში დაბრუნებისთანავე მოახსენებს შემდეგ ჯგუფს არსებულ ვითარებას, რომელიც თავის მხრივ სამომავლოდ დაგეგმავს საშუალო და გრძელვადიან დახმარებას.

— მე ხშირად ვხმარობ სიტყვას — კატასტროფული, — თქვა შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ, — თქვენ თავად დარწმუნდით, რომ სიტუაცია, მართლაც კატასტროფულია, ამიტომ თქვენს დახმარებაზე ცოტა იქნება, თუ ვიტყვი, ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ფაქტს, რომ თვის ბოლომდე ჩვენს აეროპორტში ყოველდღე დაეშვება ჰუმანური ტვირთით სავსე თვითმფრინავები ამერიკიდან.

სახელმწიფო მეთაურის პრესსამსახური.

გონს მოვეგოთ, ჩავაგოთ მახვილი!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

ამ ბოლო დროს მომხდარმა კატასტროფულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ გათიშულობას, დაპირისპირებას, პრობლემათა ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის ცდებს, გარდა სახელმწიფოებრივი მთლიანობის რღვევისა და უმძიმესი ეროვნული ტრაგედიისა, დღემდე საქართველოსათვის არავითარი სიკეთე არ მოუტანია.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჩვენ დღესაც მთელი სიღრმით არ გვსურს გავითავისოთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის უმძიმესი შედეგები და კვლავ თვითდამღუპველი დაჟინებით ვაღვივებთ ძმათამკვლელი ომის ახალ კერას დასავლეთ საქართველოში.

კვლავ ერთმანეთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაიძრნენ ერთი ერისა და ერთი სისხლის იარაღშემართული ძმები — მძიმე ტექნიკით, არტილერიით, ავიაციით. კვლავ დაუნდობლად იბომბება ორივე მხარის პოზიციები, ქალაქები, რაიონები. კვლავ იხოცება ახალგაზრდობა, მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები, ქალები, მოხუცები. კვლავ უკანმოუხედავად, მეთოდურად ვანადგურებთ და ვაჩანაგებთ ჩვენივე ქვეყანას.

ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, რომელსაც ქვეყანაში შექმნილი უაღრესად დაძაბული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, კანონის უმოქმედობა და ქაოსიც ერთვის, გავილებით რთულ და უაღრესად საშიშ ფაზაში შევა, რადგან იგი კონსოლიდაციის საფუძველს უქმნის იმ ძალებს, რომელთაც არ სურთ საქართველოს მთლიანობა.

ერისათვის დამღუპველია მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებითა და ტელევიზიით მოვლენების ამჟამად გამეფებული მხოლოდ ერთი სასურველი კუთხით გაშუქება, მოსახლეობაში წინასწარ გამიზნული დეზინფორმაციის გავრცელება, სინამდვილის დამახინჯება. სისტემატური პროპაგანდა ძალისმიერი ესკალაციის მომხრე ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის პოზიციისა, რადგან დღეს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ისინი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ლოზუნგებს ამოფარებულნი, პირადი ინტერესებისა და კეთილდღეობის ჟინით „შეპყრობილნი“ იბრძვიან მხოლოდ ხელისუფლებისათვის და არად დაგიდევენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ცილისწამების ლაფში სვრიან ყველასა და ყველაფერს, ვინც მათ მხარს არ უბამს, რაც მათ ხელს არ აძლევს.

მიუხედავად მოვლენათა ტრაგიკული განვითარებისა, ჯერ კიდევ რჩება შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან მშვიდობიანი გამოსავლის პოვნის შესაძლებლობა. ისტორია და შთამომავლობა არ გვაპატიებს ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას.

ერისა და სამშობლოსათვის ამ უმძიმეს ჟამს აჭარის ხელისუფლება კვლავ განაგრძობს რა პრობლემათა პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრისათვის ზრუნვას, მოგმართავთ სრულიად საქართველოს ყველა კუთხის შვილებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შეიარაღებულ ფორმირებებს, დროა ყველანი გამოვფხიზლდეთ, გონს მოვეგოთ, ჩავაგოთ მახვილი, დავდგეთ ერთად, დავძლიოთ შუღლი და უნდობლობა და დაუყოვნებლივ შევწყვიტოთ სამარცხვინო, ერისა და ქვეყნის გამანადგურებელი და დამთრგუნველი სამოქალაქო ომი, რათა თავიდან ავიცილოთ მისი დამღუპველი შედეგები და ხელი მოვკიდოთ ქვეყნის აღმშენებლობას.

დღეს, ისე როგორც არასდროს, კეთილ ნებას თანადგომა სჭირდება. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იზიარებს რა მთელ პასუხისმგებლობას ერისა და მომავალი თაობების წინაშე, მტკიცედ ადგას და პრაქტიკულად ახორციელებს კონფლიქტების პოლიტიკური, მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების კურსს, სწორედ ამიტომ მხარდაჭერასა და თანადგომას გთხოვთ ყველას ამ მისიის შესრულებაში, რამეთუ სწორედ ამ გზით შევძლებთ ღრმა კრიზისიდან თავის დაღწევასა და ჭეშმარიტად დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ასლან აბაშიძე.

ნომერში

- ⊙ როცა ჩვენსას მაინც არ ვიშლით. 2
- ⊙ აფხაზური აპოკალიფსი. 3

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის მისი აღმატებულება ბ-ნ ჯონ მეიჯერის წერილის ტექსტი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის მისი აღმატებულება ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის სახელზე

უდიდესი შეშფოთებით ვადევნებდი თვალყურს საქართველოში მოვლენების განვითარებას და მინდა იცოდეთ, რომ დიდი სიხარულით შევიტყვე თბილისში თქვენი მშვიდობიანი დაბრუნების შესახებ. აღტაცებული ვარ სოხუმში თქვენს მიერ გამოჩენილი სიმამაცით. იქ დატრიალებული ამბები და მსხვერპლი უდიდესი ტრაგედიაა მთელი საქართველოსთვის.

ჩვენ ყოველთვის გვახსოვხართ. თქვენი ხელმძღვანელობა, შეუპოვრობა და სიმტკიცე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საქართველოსთვის ამ კრიტიკულ დროს. მე მესმის, თუ რა საგანგაშოა თქვენს წინაშე მდგარი ბრძოლებით გამოწვეული ჰუმანიტარული პრობლემები. ამასთან დაკავშირებით და ქ-ნ ლინდა ჩოკერისადმი ქ-ნ ირინე სარიშვილის წერილის პასუხად, მე ვაპირებ, ბრიტანეთის მთავრობის სახელით, დაუყოვნებლივ გამოვუყოთ გაეროს 200000 ბრიტანული გირვანქა სტერლინგი. ამასთან ქ-ნი ლინდა ჩოკერი თვითონაც ცალკე დაგიკავშირდებათ სამედიცინო მოწოდებების საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანება

გვარდიის სამმართველოს შექმნის შესახებ

ექსპრეზიდენტის მომხრე უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც განლაგებული არიან მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე, აქტიურად ემზადებიან წამოიწყონ ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციები ქუთაისის, ხონისა და სამტრედიის ხელში ჩასაგდებად.

აღნიშნული ქალაქების დაცვის უზრუნველყოფის, ამ რეგიონში საომარი ვითარების სტაბილიზაციისა და მოწინააღმდეგის აგრესიული გეგმების ჩაშლის მიზნით

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს რიგი სამხედრო ფორმირებების თხოვნა გვარდიის სპეციალური რაზმების დაარსებისა და მათი მართვის მიზნით გვარდიის სამმართველოს შექმნის შესახებ.

სამმართველოს დისლოკაციის ადგილად განისაზღვროს ქ. ქუთაისი.

გვარდიის ნაწილები უშუალოდ დაექვემდებაროს სახელმწიფოს მეთაურს, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გენერალ-მაიორ ჯ. ჭუმბურიძეს შეიმუშაოს და ორი დღის ვადაში წარმომიდგინოს დასამტკიცებლად გვარდიის სამმართველოს დებულება და საშტატო სტრუქტურა.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს შესახებ

1. **გარდაიქმნას** საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ სახელმწიფო ორგანოების სისტემაში მისი არსებული ადგილის შენარჩუნებით.
2. დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამმართველო თავისი პირადი შემადგენლობით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს.
3. დაევალოს ი. გიორგაძეს უმოკლეს ვადაში წარმოადგინოს უშიშროების სამინისტროს დებულება, სტრუქტურა და კოლეგიის შემადგენლობა დასამტკიცებლად.
4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარმოადგინოს წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1993 წელი, 12 ოქტომბერი.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის თანადგომა

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია ერთ-ერთ თავის ბოლოდროინდელ მიმართვაში ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას ბრიუსელში ატყობინებდა, რომ აფხაზეთიდან 200.000-მდე იძულებით გადაადგილებულთა შორის არის ჟურნალისტთა ჯგუფი და ითხოვდა მათთვის შესაძლო დახმარების აღმოჩენას.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ მიიღო შემდეგი შინაარსის პასუხი:

„ძვირფასო კოლეგა!

მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ გამოგზავნილი მიმართვისათვის. ღრმად განვიცდით ქართველი ჟურნალისტების გაჭირვებას და გიცხადებთ სრულ თანადგომას. ამჯერად გვინდა გამოვგზავნოთ დახმარების სახით 1000 დოლარი ჩვენი უსაფრთხოების ფონდიდან. გთხოვთ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჟურნალისტებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად. ამის საფუძველზე მოვამზადებთ აქციას, რომელსაც გავავრცელებთ ჩვენთან — საერთაშორისო ფედერაციაში შემავალ მსოფლიო ჟურნალისტურ ორგანიზაციებს შორის.

მზად ვართ მივიღოთ თქვენი წინადადებები.

საუკეთესო სურვილებით,

მარი-ენე ბაკუეტი,

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის პირადი თანაშემწე და უსაფრთხოების ფონდის კოორდინატორი“.

საზოგადოებრივი აზრი

საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ

ქ. თბილისი, სატელეფონო გამოკითხვა — 521 გამოკითხული, 07.10.93 წ. (პასუხები — პროცენტობით).

გამოკვლევა ჩაატარა საქ. მეც. აკად. **დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის სოციალურ-პოლიტიკური პროცესების სოციოლოგიური კვლევის განყოფილებამ.**

1. როგორ აფასებთ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას?	
— ვითარება კატასტროფულია, არაფრის იმედი არა მაქვს	28,1
— ვითარება ძალზე რთულია, მაგრამ უიმედო არ არის	68,6
— არაფერი განსაკუთრებული არ ხდება	1,9
— მიჭირს პასუხის გაცემა	1,4
2. როგორ აფასებთ ვითარებას რუსეთში და რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას საქართველოზე?	
— მივესალმები დემოკრატიული ძალების გამარჯვებას რუსეთში და მჯერა, რომ მალე გაუმჯობესდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა	55,6
— ვინც უნდა გაიმარჯვოს რუსეთში, საქართველოსათვის სასიკეთო ძვრებს არ მოველი	39,2
— სხვა პასუხი	5,0
3. მხარს უჭერთ თუ არა საგანგებო ვითარების რეჟიმს საქართველოში?	
— დიახ	92,7
— არა	2,6
— მიჭირს პასუხის გაცემა	4,0
4. რას ფიქრობთ აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო?	
— აფხაზეთში დიდი უბედურება მოხდა, მაგრამ ვფიქრობ მას მალე დავიბრუნებთ	67,1
— არავითარი იმედი არა მაქვს, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ, ის საბოლოოდ დავკარგეთ	24,1
— სხვა პასუხი	8,5
5. თქვენი აზრით ვის ედება ბრალი აფხაზეთში დამარცხებისათვის?	
— მხოლოდ ამჟამინდელ ხელისუფლებას	6,9
— მხოლოდ ყოფილ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერთ ზუგდიდში	41,4
— ორივეს ერთად	19,1
— მხოლოდ რუსეთს	30,0
— მიჭირს პასუხის გაცემა	10,4
(შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის გაცემა)	
6. ვის ანდობთ საქართველოს მართვას ამჟამად?	
— ამჟამინდელ ხელისუფლებას	83,2
— ყოფილ ხელისუფლებას	6,1
— მიჭირს პასუხის გაცემა	10,2
7. როგორ ფიქრობთ, შედის თუ არა რუსეთის ინტერესებში ნორმალური ურთიერთობა საქართველოსთან?	
— დიახ	52,5
— არა	32,4
— მიჭირს პასუხის გაცემა.	13,7
8. როგორ ფიქრობთ, შედის თუ არა საქართველოს ინტერესებში ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან?	
— დიახ	83,0
— არა	7,1
— მიჭირს პასუხის გაცემა	9,2
9. როგორია თქვენი დამოკიდებულება სამეგრელოში მიმდინარე პროცესების მოგვარების მიმართ?	
— საჭიროა დიალოგი იქ არსებულ ძალებთან	21,7
— არავითარი მოლაპარაკება საჭირო არ არის, ამ ძალების მიმართ მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები	70,7
— მიჭირს პასუხის გაცემა	5,7

შეხვედრა მეცნიერებათა აკადემიაში

ჩვენი დღევანდელი უმძიმესი ცხოვრების ფართო სპექტრი მოიცვა საუბარმა, რომელიც 12 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. გარკვეულ ტრადიციად იქცა: როცა ქვეყანას ძნელბედობის ჟამი უდგას, სახელმწიფოს მეთაური ხვდება ქართველ მეცნიერებს, რათა მათ გაუზიაროს აზრი და მოისმინოს მეცნიერთა ჭეშმარიტი სიტყვა. ასე იყო ამჯერადაც. ქართველ მეცნიერთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. სრული ობიექტურობით, შექმნილი ვითარების რეალური შეფასებით სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა ამ გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ახლა ჩვენს საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. საქმე ეხება საქართველოს შესვლას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

— იმის ხაზგასმა, თუ რა მნიშვნელობას ვაძლევ მეცნიერებათა აკადემიის, თითოეული მეცნიერის დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნის კურსისადმი, ლაპარაკი ზედმეტია, — მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა შეკრებილთ. შემდეგ მან დაწვრილებით გააანალიზა ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ვითარება, გაჩაღებული ომი, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა საქართველოს, აფხაზეთის მარცხი თავისი უმძიმესი შედეგებით, და ბოლოს, ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული გამოსვლებით გამწვავებული სიტუაცია. ამას ემატება ჩვენი სიდუხჭირე. და ამ ნახევრად განწირულობის დროს ნაპოვნი გამოსავალი — საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში — თუ პატარა შესაძლებლობა მაინც არსებობს ქვეყნის გადასარჩენად, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — უნდა გამოვიყენოთ. ასე ვფიქრობდი და ვფიქრობ და მივიღე ეს გადაწყვეტილება. მჯერა, რომ ეს არ არის ისეთი მოქმედება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება სადღეისოდ და სამომავლოდ. თანამეგობრობაში შესვლა ნიშნავს უფრო გაბედულ კურსს იმ ძველი ეკონომიკური, ფინანსური, კულტურული და მეცნიერული კავშირების აღდგენისა, რომლებიც სასარგებლო და საჭიროა.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ მეცნიერება და კულტურა იზოლირებულად ვერ განვითარდება, გაგვიჭირდება იმ დიდი მონაპოვრის შენარჩუნება, რაც შექმნილია. ეს ნაბიჯი, რომელიც ახლა გადადგა საქართველოს ხელმძღვანელმა ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტია ამ ვითარებაში. მე მგონი, ეს რეალისტური გადაწყვეტილებაა და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართველი მეცნიერების, მეცნიერებათა აკადემიის დამოკიდებულება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ქართველ მეცნიერებს მადლობა გადაუხადა მათი ამასწინანდელი პრინციპული განცხადების გამო და მხარდაჭერა გამოუცხადა მათ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ალბერტ თავხელიძე, გიორგი ციციშვილი, გივი სანაძე, მარიკა ლორთქიფანიძე, ნოდარ ამაღლობელი, ლევან ჭაფარიძე, შალვა ხიდაშელი, ვახტანგ ქიქინაძე, კოტე წერეთელი, გოჩა ჩოგოვაძე, გიორგი ზარიძე, გრიგოლ აბაშიძე, ელენე მეტრეველი, ჯუმბერ ლომინაძე, ივანე კიღურაძე, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის შესახებ და ეს გადაწყვეტილება გონივრულ და დროულ აქტად ჩათვალეს.

სამშობლო საფრთხეშია!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრთა კრების

განცხადება

სამშობლო საფრთხეშია, მის მთლიანობას და სახელმწიფოებრივ არსებობას, თვით ერს საშინელი განსაცდელი დაემუქრა. უკანასკნელი თვეების მოვლენებმა ნათელი გახადეს მზაკვრული შეთქმულება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული რუსეთის იმპერიული და საქართველოს ნაციონალურ-ფაშისტური ძალების მიერ.

რევანშისტულმა ძალებმა რუსეთში მარცხი განიცადეს. მივესალმებით რა ამ დიდი ქვეყნის დემოკრატების გამარჯვებას რეაქციულ ძალებზე, მოვუწოდებთ ჩვენს ერს ერთიანად და მედგრად წინ აღუდგეს შინაურ მტერს. გამსახურდიას და მის მიმდევართა მოღალატურ მოქმედებას საბოლოოდ აეხადა ფარდა; მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკების ცდებმა საწინააღმდეგო შედეგები გამოიღო. აფხაზეთში, მთლიანად დასავლეთ საქართველოში დატრიალებული ტრაგედია, ძმათა მკვლელი ომი, იმპერიულ ძალებთან მათი კავშირის შედეგია. ის, რაც დასავლეთ საქართველოში ხდება, პირდაპირი გაგრძელებაა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისა. ქართველი ერის განსაცდელი გრძელდება; ათასობით ლტოლვილი, ბლოკირებული სვანეთის მთებში, მოღალატეებმა სასიკვდილოდ გასწირეს. დღეს გამსახურდიას მხარეს იბრძვიან ის „ბოევიკები“, რომელთაც ხელზე ჯერაც არ შეშრობიათ მათ მიერ აფხაზეთში დახოცილი ჩვენ თანამემამულეთა სისხლი. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ვუჭერთ რა მხარს საქართველოს ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსს, აუცილებლობად მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი:

ვინაიდან მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკების ყველა ცდა ამოიწურა, გადაუდებელია სამხედრო ძალის ამოქმედება, რათა სასწრაფოდ ლიკვიდირებული იქნეს ომის საშიში კერა. საამისოდ გამოყენებულ იქნეს ყველა საშუალება, მათ შორის საერთაშორისო ძალები, რომელთაც შეეძლებათ ამ მისიის შესრულება.

სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდნილი ათასობით ლტოლვილის გადასარჩენად ხელისუფლებამ თხოვნით მიმართოს საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო შენაერთების სარდლობას თავისი ძალებით შექმნას დერეფნები უბედურების ზონიდან მათ გამოსაყვანად.

რადიკალური ძალების და, განსაკუთრებით, გამსახურდიას მომხრეთა პროპაგანდა და ძირგამომთხრელი მოქმედება ხელს უწყობს ვითარების დესტაბილიზაციას, რაც ყოვლად დაუშვებელია. საზოგადოებამ ხმა უნდა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ, ხოლო ხელისუფლებამ მიიღოს შესაბამისი ზომები მათ აღსაკვეთად.

საქართველოს მოსახლეობისა და სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის გამოსაკვლევად შეიქმნას სახელმწიფო და საზოგადოებრიობის კომისია მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტების მონაწილეობით.

ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მეცნიერებათა აკადემია მიმართავს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობას, ყველა მეცნიერს, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას — გავერთიანდეთ, გამოვიჩინოთ ზნეობრივი სიმტკიცე, მაღალი მოქალაქეობრიობა. სამშობლოს გადასარჩენად არ დავზოგოთ ცოდნა, გამოცდილება, ძალ-ღონე და თვით სიცოცხლე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს

განცხადება

საქართველოს პოლიცია ყოველთვის იყო მშობლიური ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. ასობით პოლიციელმა დასდო თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამსხვერპლოზე, ასობით პოლიციელი დაიღუპა კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლაში.

დღეს, როცა მთელი სიცხადით დადგა ჩვენი სამშობლოს დაქუცმაცების, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის, პოლიტიკური ანარქიის, მაფიოზური სტრუქტურებისა და კლანების მარწუხებში ეკონომიკის ბერკეტების მოქცევის, ყაჩაღობისა და ძარცვის ცხოვრების წესად დამკვიდრების რეალური საფრთხე, ჩვენ, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს განსაკუთრებული მოვალეობა გვეკისრება ქვეყნისა და მისი მოქალაქეების გადარჩენისათვის.

გვინდა დავარწმუნოთ საქართველოს მთელი მოსახლეობა, რესპუბლიკის ხელისუფლება და პირადად სახელმწიფოს მეთაური, რომ რესპუბლიკის პოლიციის მთელი პირადი შემადგენლობა — 35 ათასი კაცი — არ დაიშურებს ენერგიას, საკუთარ სიცოცხლესაც კი, რათა ქვეყანაში აღდგეს წესრიგი და კანონიერება.

ამასთან გვინდა განვაცხადოთ: შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი შემადგენლობა მთლიანად უჭერს მხარს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ განხორციელებულ კურსს, მის პოლიტიკას და გადაწყვეტილებებს. და არა მარტო უჭერს მხარს, ძალისხმევას არ მოაკლებს მათი განხორციელებისათვის ბრძოლას, რადგან გვწამს რომ სახელმწიფოს მეთაურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის გამოცდილი პოლიტიკოსის ღრმა განსჯისა და ანალიზის ნაყოფი, რომელიც მშვიდობიანობას აღუდგენს საქართველოს, ფეხზე დააყენებს ქვეყანას, ნორმალური ცხოვრების პირობებს შეუქმნის მოსახლეობას.

პოლიცია დეპოლიტიზებულია, ჩვენ არ ვერევით სხვადასხვა პარტიებთან და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან პოლემიკაში, არ ვუპირისპირდებით მათ პოლიტიკურ მოსაზრებებსა და საქმიანობას. მაგრამ გულგრილნი და შორიდან მაყურებლის როლში ვერ დავრჩებით იმ დესტრუქციული ძალებისადმი, კარიერისტული ამბიციებით შეპყრობილი პოლიტიკანებისადმი, რომლებიც თავიანთი ბოროტი მიზნების მისაღწევად არ ერიდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციას, ობსტრუქციას, საბოტაჟს და აშკარა ღალატს.

ჩვენ განსაკუთრებულ შეურიგებლობას გამოვიჩენთ ექსპრეზიდენტის მომხრე პოლიტიკური ძალებისა და შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფებისადმი, რომელთა კისერზე და სინდისზეა აფხაზეთის ტრაგედია. ახლა კი ისინი ღვრიან თანამოძმეთა სისხლს, ანგრევენ თავიანთივე ქვეყნის ქალაქებს და სოფლებს, აწიოკებენ მოსახლეობას. ჩვენ მთელი სისასტიკით ავლაგმავთ ყველას, ვინც ხელი გაისვარა მოძმეთა სისხლში, ზურგში ხანჯალი ჩასცა მშობელ ქვეყანას.

საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები მოვუწოდებთ რესპუბლიკის სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, მთელს მოსახლეობას, გავაერთიანოთ ჩვენი ძალები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად, იმ ჭეშმარიტად რეალისტური კურსის მხარდასაჭერად, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

აცხადებს

საქართველოს რესპუბლიკაში იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემული ქონების ზუსტი აღრიცხვისა და მათი პრივატიზების ორგანიზების მოწესრიგებისთვის იჯარა-გამოსყიდვის ფორმით გაცემული სახელმწიფო ქონების მოიჯარეებს ვთხოვთ 1993 წლის 30 ოქტომბრამდე წარმოადგინონ აუცილებელი დოკუმენტაცია.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც იგი მხარს უჭერს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის შესახებ სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას.

სამწუხაროა, აღნიშნულია დოკუმენტში, რომ ეს გადაწყვეტილება დიდი დაგვიანებით იქნა მიღებული. ბრმა ნაციონალიზმმა და პოლიტიკურმა ექსტრემიზმმა უდიდესი ზიანი მიაყენა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. დაინგრა და გაპარტახდა ეკონომიკა, გაღატაკდა და დაბეჩავდა ხალხი, შეფერხდა ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარება. უაზრო კონფლიქტებმა შეიწირა ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე — აფხაზეთის ტრაგედიამ ხიზნად აქცია უამრავი ადამიანი.

რუსეთის მიმართ ლოიალური კურსის განხორციელებით შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა კატასტროფა, მაგრამ დღეს არ არის დრო, ვეძიოთ კონკრეტული დამნაშავენი. მთელი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ თანამეგობრობის ჩარჩოებში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცების, ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის აღორძინების, ქაოსის დაძლევისა და კანონიერების აღდგენის საქმეს.

გვსურს ვიქონიოთ იმედი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი დღეისათვის არსებობს, უხერხემლო წარმონაქმნია. იგი ადეკვატურად ვერ ასახავს ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოების ფაქტობრივი ინტეგრაციის დონეს. ამ მხრივ საქართველოს ძალუძს თავისი სიტყვა თქვას ევრაზიის სახლად თანამეგობრობის თანდათანობითი გარდაქმნის საქმეში, რომელსაც ევროგაერთიანებების მსგავსად ექნება საერთო სამუშაო საკოორდინაციო ორგანოები, მრავალეროვანი სამდივნო „გენერალური კოორდინატორის“ მეთაურობით.

გვსურს ვიქონიოთ იმედი, რომ ქართველი ერი ამჯერად მაინც აღმოჩნდება მოწოდების სიმაღლეზე და თამამად აუბამს მხარს მსოფლიოში მიმდინარე ღრმა ინტეგრაციულ პროცესებს.

ხალხთა დემოკრატიული თანამეგობრობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტიაა, იზოლაციონალიზმი კი — მისი მოსპობაა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო

სახელმწიფო კომისია მუშაობას შეუდგა

11 ოქტომბერს გაიმართა აფხაზეთის რეგიონში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენისა და საერთაშორისო ტრიბუნალისთვის მასალების მომზადების სახელმწიფო კომისიის პირველი სხდომა.

სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ალექსიძე, ხაზგასმით აღინიშნა კომისიის მიერ განხორციელებული სამუშაოს უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ყველა სამსახურმა, რომელთაც ეს ხელეწიფებათ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ამსახველი დოკუმენტური, ვიდეო და ფოტომასალების შეკრება-მომზადება. გადაწყდა, რომ კომისიის მუშაობის მეტი ნაყოფიერებისთვის, მის შემადგენლობაში შეიყვანონ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროთა წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილენი ერთსულოვნად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შეიქმნას საერთაშორისო ტრიბუნალი და ამ გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

სხდომაზე დაისახა შემდგომი მუშაობის კონკრეტული გეგმა.

ფიქრები

სატკივარი

ანუ როცა ჩვენსას მაინც არ ვიშლით

„უცნაური, თავისებური ხალხი ვართ ქართველები: აგი ვამბობთ კიდეც: — სატკივარი რომ არ გვქონდეს, ძალად გამოვძებნით და ავიტკივებთო.

და ვართ ასე, ასე მოვუყვებით საუკუნეებს და თავადვე გვიკვირს — რამ გაგვაძლებინაო?

მართლაც, გასაკვირია, სასწაული რომ არ იყოს!“— გვწერდა ამას წინათ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჩვენი გაზეთის ერთი მკითხველი.

სასოწარკვეთა, თვითგვემა თუ ხარაკირი დღეს რომ არაფერს გვარგებს, ეს ცხადზე ცხადია. ახლა გამაგრება, გაკაჟება გვჭირდება, რათა გაუსაძლისს გავუძლოთ, ბოროტებასა და ღალატს მოვერიოთ, საკუთარი მიწიდან აყრილი თანამოძმენი ვიხსნათ სიკვდილისაგან... იქით ფოთსა თუ სენაკს მივხედოთ, აქეთ მოსალოდნელ სიცივესა თუ შიმშილს. ერთი სიტყვით, მართლა იმდენი გვაქვს საფიქრალ-საზრუნავიც, დასაძლევიც და მოსაგვარებელიც, რომ...

როგორ ვაპირებთ, რით ვაპირებთ ამას? — მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით და თანადგომით? დღეს ყველა დაკარგული სულიკოსავით რომ დავეძებთ და მაინც ვერ გვიპოვია?

ჩვენმა შესანიშნავმა ქალებმა ახლახან აქამდე არნახული მარათონიც კი მოაწყვეს სიყვარულისა და თანადგომის დროშით, მაგრამ... მაინც იმძლავრა ღალატმა, ცხენისწყლიდან ხონსა და ფოთს შეესია და უფრო საშინელ აფხაზეთს გვიმზადებს.

ჩვენ კი, ჩვენსას მაინც არ ვიშლით და თითქოს არაფერი გვაწუხებდეს, ისედაც ატკიებულ თავს კიდევ უფრო მეტად ვიტკიებთ ჩვენივე სიბეცითა და წინდაუხედაობით.

ამ დღეებში რედაქციაში ჩვენი პარლამენტის აჭარელი დეპუტატების ერთი ჯგუფი გვესტუმრა. განცხადება მოგვიტანეს. ისინი აღშფოთებული და გულდაწყვეტილები იყვნენ იმით, რომ უკანასკნელ ხანს ისევ აღზევდა, ისევ გაიდგა მეტასტაზები თითქოს ერთ ხანს ჩამცხრალმა ანტიაჭარულმა მითქმა-მოთქმამ და აჟიოტაჟმა. დღე ერთია და, სხვადასხვა დონეზე ისევ მიდის გაუთავებელი მიეთ-მოეთი აჭარის ხელმძღვანელობის თვალთმაქცობაზე, შორს გამიზნულ მოღალატურ მიზნებზე. ზოგი რას აბრალებს აჭარლებსა და მათ ხელმძღვანელს, ზოგი რას. ერთი სიტყვით, სწორედ ახლა, როცა ქობულეთთან ახლოს ცეცხლს უშენენ ფოთს, ემუქრებიან ლანჩხუთს, დაიწყო კიდევ ერთი შორს გამიზნული ბინძური კამპანია იმისათვის, რომ ბოროტებისა და უნდობლობის ბურუსში ჩაძირონ ის დიდი სიკეთე, რომელიც დიდი ბრძოლისა და მეცადინეობის შედეგად ასე სათუთად შემოგვინახა აჭარამ.

ეტყობა, სწორედ ახლა, როცა დაპირისპირებისაგან ზანზარებს დასავლეთ საქართველო, ვიღაცას ძალიან სჭირდება ისევ ააღელვოს აჭარა, მისი ხელმძღვანელობა და ამით მძლავრი დასაყრდენი გამოაცალოს ქვეყანას.

ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგონებ, რას არ მოისმენ ამ ბოლო ხანს: —აჭარაში დიდი ღალატი მზადდება!... ასლან აბაშიძემ პირადად ჩამოიყვანა ჩეჩნეთიდან პრეზიდენტყოფილი და ბობოყვათში შეიხიზნა მისი ცოლშვილი... არც ერთი აჭარელი არ გაუშვა სოხუმში საბრძოლველად, რადგან ძალებს იმისთვის ინახავს, რომ რუსეთის მეშვეობით ხელში ჩაიგდოს საქართველოს პირველკაცობა... და კიდევ რამდენი სხვა ასეთი... ჰაი დედასა, განა ვერ უნდა მიხვდეთ იმას, რასაც ისახავენ მიზნად?

მოვიტან ერთ ადგილს აჭარელ დეპუტატთა განცხადებიდან, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის გასული ოთხშაბათის ნომერში:

„დასანანია, რომ ცალკეულ ძალებს საშუალება ეძლევათ ახლანდელ უმძიმეს მომენტშიც კი თავიანთი ეგოისტური, კარიერისტული და ჯგუფური ზრახვების მისაღწევად ურცხვად გამოიყენონ მაღალი ტრიბუნა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და გაავრცელონ აშკარად ტენდენციური და გამაღიზიანებელი ინფორმაცია აჭარაზე, მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, რაც ფაქტობრივად მისდამი უნდობლობის დამკვიდრებას ისახავს მიზნად“.

რომ იტყვიან, დეპუტატურად, მაინც დაზოგვით, რბილად არის ნათქვამი, თუმცა ყოველივე ამას კატეგორიული მოთხოვნაც ახლავს პარლამენტის, მისი თავმჯდომარისა და მთავრობის ზოგიერთი ხელმძღვანელისადმი — დროული და პრინციპული შეფასება მისცენ ქვეყნის საზიანოდ მიმართულ ასეთ გამოხდომებს.

ალბათ ასეც იქნება, მაგრამ... რა ვუყოთ იმას, რაც უკვე ითქვა, რამაც კიდევ ერთხელ დაგესლა და გული მოუკლა აჭარას? ვფიქრობ, ამჯერად უფრო თქმა სჯობს, რადგან უთქმელობით მართლაც დავშავდებით.

შორიდან აღარ მოვყვები საქმეებს, რადგან ის, რაც თავის დროზე ვნახე და შევიგრძენი აჭარაში, საკმარისად ვთქვი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. გავიხსენებ მხოლოდ უკანასკნელ სატელეფონო საუბარს ბატონ ასლან აბაშიძესთან, რომელიც ეხებოდა მისი შუამავლობით ქობულეთში მიმდინარე დაპირისპირებულ მხარეთა შეხვედრის პირველი რაუნდის შედეგებს. მაშინ მხოლოდ ამ საუბრის დასკვნითი ნაწილი გამოვაქვეყნეთ. დარჩენილი კი ხელში შემოგვრჩა მხოლოდ იმიტომ, რომ აჭარის ხელმძღვანელმა მაინც მოახერხა პირველი რაუნდის წარუმატებლობის შემდეგ ისევ შეეკრიბა დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკების მეორე რაუნდზე, რომელიც შეთანხმებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ლოთი ქობალიას რაზმები მიადგნენ ჯაპანას და დაემუქრნენ ლანჩხუთსა და ვანს. მანამდე კი ერთი მეტად გულდასაწყვეტი ფრაზა დამამახსოვრდა ბატონ ასლანთან საუბრისას.

„— **პირდაპირ გეტყვით,** — მითხრა ასლან აბაშიძემ, — **წინა მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე (საუბარი იყო მოლაპარაკების პირველი რაუნდის პერიპეტიებზე), არ ვიცი, რა ვქნა, ჩავერთო თუ არა ამ პროცესში. ძალაუნებურად იმაზე ვფიქრობ, ხვალ როგორ შეაფასებს ამას ზოგიერთი ჩვენი მოღვაწე... ამიტომ არ ვიცი, ექნება თუ არა ამ ჩემს წამოწყებას საერთო მხარდაჭერა. თუ ეს არ იქნა, მაშინ ყოველი წამოწყება და ინიციატივა განწირული იქნება“.**

მაინც რა მწარე გამოცდილებაზე ჩიოდა მაშინ აჭარის ხელმძღვანელი. რა საერთო მხარდაჭერას ითხოვდა იგი? — აი ამის შესახებ არაფერი ვთქვით მაშინ მეორე რაუნდის შედეგებით დაიმედებულებმა. ახლა შევეცდები ერთგვარად თეზისურად მოგახსენოთ ძირითადი დასკვნები, რომლებიც მე იმ საუბრიდან გამოვიტანე:

სამეგრელოს რეგიონი, — აცხადებდა ასლან აბაშიძე, — **აფხაზეთის მიმდებარეა, ხოლო მოსახლეობა გადაჯაჭვული აფხაზეთის მოსახლეობასთან. აქედან გამომდინარე კონფლიქტს შეუძლია დეტონატორის როლი შეასრულოს და ხელმეორედ ახალი ძალით აფეთქოს აფხაზეთი, სადაც ახლა ყველა ღონეს ვხმარობთ კონფლიქტის ჩასაქრობად.**

...იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მოლაპარაკება, ასლან აბაშიძის თხოვნით ვახტანგ ქობალიამ გაიყვანა ხობიდან და სენაკიდან თავისი შეიარაღებული ფორმირებანი.

სწორედ მაშინ, როცა მოლაპარაკების დროს, თითქმის გადაწყდა ქობალიას ფორმირებების სახელმწიფო სტრუქტურებში შეყვანის საკითხი, ჩვენი პოლიციის ჯარები შეიჭრნენ ხინაკსა და ხობში, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ამ დროს მოლაპარაკების მაგიდასთან მჯდომი გარანტი — ასლან აბაშიძე?

ამას მოჰყვა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ცნობილი განცხადება, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სხვათა განცხადებები, რომლებმაც რომ იტყვიან, ჩიხში შეიყვანეს თითქმის წარმატებამდე მისული მოლაპარაკება.

მოდი და, ნუ იტყვი — თქვა ბატონმა ასლანმა — **მართლა რაშია საქმე? — სახელმწიფოს მეთაური აგზავნის ოფიციალურ დელეგაციას, აქ ყველაფერს ვაკეთებთ ბარიერების დასაძლევად, ამ დროს კი ხელს უშლიან მოლაპარაკებას.**

აი, ასეთი გახლდათ ის მწარე გამოცდილება, რომლის მიზეზითაც ასლან აბაშიძე მაინც მიუჯდა ორმხრივი მოლაპარაკების მეორე რაუნდის მაგიდას და აფხაზეთის მეორედ აფეთქება და პრეზიდენტყოფილის საქართველოში დაბრუნება რომ არა, ვინ იცის, როგორი იქნებოდა მიღწეული შეთანხმების შედეგი.

თუმცა ვერ დავიჩემებ. დღეს აფხაზეთისა და სამეგრელოს ამბები ისე ჩაიხლართა ერთმანეთში, მით უმეტეს, „საომო მშვიდობისა-ს“ უკანასკნელ გადაცემებში მოყვანილი ფაქტობრივი მასალების შემდეგ, — ხომ თვით მამაზეციერიც ვერ იფიქრებს იმას, რომ ზუგდიდიდან გუდაუთაში მისალოც დეპეშებს აგზავნიდნენ სოხუმისა და ოჩამჩირის დამხობისა და მისი მოსახლეობის განადგურებისათვის და ჩეჩენ-კაზაკთა ბოევიკების რაზმებს მოიხმობდნენ საკუთარი ხალხის დასათრგუნავად.

რა ვქნათ ახლა? შეთანხმებამ, რომელსაც თავის დროზე მიაღწია ასლან აბაშიძემ დაპირისპირებულ ძმათა შორის, არ იმუშავა! არ იმუშავა, რადგან მგელმა მგლობა და ღალატი ვერ მოიშალა — გაყიდა საქართველო. უფრო მეტიც, სამშვიდობოზე გამოსასვლელი გზაც კი ჩაუხერგა, ზუგდიდში და სვანეთის ყინულეთში ჩახოცა ათეულობით ლტოლვილი თანამოძმე.

იფიქრებდა კი ვინმე ასეთ ბარბაროსობას?

აბაშიძეზე უფრო ძლიერსა და გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეებს დაუსვამთ თავიანთი საგარანტიო ხელმოწერა ხელშეკრულებებზე, რომლებიც, როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ ფარატინა ქაღალდად შემოგვრჩა ხელში.

ამ დღეებში გავეცანი რამდენიმე ინტერვიუს, რომელიც ბატონმა ასლან აბაშიძემ მისცა „იზვესტიას“, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“, მათ შორის „საქინფორმს“, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ კიდეც. აქ, როგორც იტყვიან, ბოლომდე ითქვა სათქმელი, ბოლომდე გაეცა პასუხი იმ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს, რომლებიც მე ჩამოვთვალე ამ წერილში. მაგრამ გაიგონებენ და შეისმენენ კი ისინი, ვისაც ესოდენ სწადია აჭარის ჩათრევა იმ კონფლიქტში, რომელმაც ახლა მოიცვა ჩვენი დასავლეთი? კიდევ კარგი აჭარლობასაც და მათ ხელმძღვანელსაც იმდენი უნარი და გამოცდილება აქვთ, რომ მტერი არ გააცინონ.

მჯერა არც გააცინებენ, მაგრამ... რა ვუყოთ უმადურობით გაზზარულ გულებს, დაწყვეტილ ნერვებს, შეურაცხყოფილ ოჯახებს, პიროვნებებს, რომლებმაც დღე და ღამე ასწორეს იმისათვის, რომ ძმათამკვლელი ომისაგან ეხსნათ საქართველო, მიშველებოდნენ სოხუმს, მანქანებითა და კატარღებით ეზიდათ არმიისა თუ სოხუმელებისათვის საჭმელი, სურსათ-სანოვაგე, მედიკამენტები. რა ვუთხრათ ჩვენი თავდაცვის სამინისტროს აჭარას ბრიგადის მებრძოლებს, ათეულობით, ასეულობით ბათუმელს, რომელმაც თავდადებით იბრძოლა, რა ვუყოთ იმ დაღუპულ აჭარელ ბიჭებს, თავი რომ გადადეს სოხუმისათვის, საქართველოსათვის?

ჩვენ ხომ ასე ვიცით: თუ ხი არ მოგვეწონა, იმდენს ჩავძახებთ გახმი, გახმიო, რომ მართლაც გავახმობთ. თუ კაცი — ისე წავისვრით და ვლანძღავთ, რომ ყვავ-ყორანს არ დასიზმრებოდის. ასეთ დროს არც ტყუილისა და დეზინფორმაციის ვერიდებით... მახსოვს, როგორი გულისტკივილით თქვა სახელმწიფოს მეთაურმა საყვედური საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მიმართ, რასაც არ შეეძლო გული არ დაეწყვიტა ჩვენი მეზღვაურებისათვის. კიდევ კარგი, ჩემი კოლეგის წერილის — „იდიდება ქართული ფლოტი“-ს შემდეგ მიკერძოებასა და აპოლოგიას ვერავინ დამწამებს, მაგრამ ხომ უნდა ითქვას სიმართლე? თავად ვარ მოწმე იმისა, როგორ რეკორდულ დროში აღადგინეს ჩვენმა მეზღვაურებმა მწყობრიდან გამოსული კატარღები, როგორ მოაწყვეს ისინი სოხუმში საწვავისა თუ პროდუქტის საზიდად, როგორ ჩაიყვანეს მათ სათავეში ყველაზე გამოცდილი კაპიტნები, როგორ გაიდო საზღვაო ხიდი ბათუმიდან — სოხუმამდე, რომელიც ერთი დღეც არ გაჩერებულა. მაშ, ვის და რატომ დასჭირდა არასწორი ინფორმაციით შეცდომაში შეყვანა ჩვენი მეთაურის. ალბათ იმათ, ვისაც ხელი მოეცარა ფლოტზე. ვინც თავის დროზე ჩალის ფასად ყიდდა მასაც და ქართველი მეზღვაურის ღირსებასაც. ასეთები კი, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს საკმაოდ არიან.

ვფიქრობ, ამ საქმეს უჩემოდაც კარგად გაარკვევენ; ახლა კი ისევ ასლან აბაშიძის ბოლოდროინდელი ინტერვიუების ერთ თემას დავუბრუნდეთ.

— აჭარა ნელ-ნელა აღწევსო თავს თბილისის კონტროლს, — აცხადებდა ამასწინათ პუტჩისწინანდელი „ოსტანკინო“. რას ეურჩიობოდა ამ დროს იგი? ასლან აბაშიძის თქმით ისევ ჩვენ სამთავრობო სტრუქტურებში ზოგიერთი ხელმძღვანელის მოუზომელ გამონათქვამს იმის თაობაზე, რომ „ვერ შევედითო აფხაზეთში, ოსეთში და აჭარაშიო“.

ამ დროს კი აქ ყველა შედის და გამოდის, აჭარა ყველას გულღია მასპინძელია. აქ სიამოვნებით ჩამოდიან ჩვენი ყველა რანგის ხელმძღვანელები, პარლამენტარები, ბიზნესმენები, მრეწველები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, უცხოელი სტუმრები... აქ იმართება შეხვედრები, ფორუმები, კონფერენციები, ფესტივალები.

მაშინ გაისმის აქ ხოტბა და ქებათა-ქებანი, უსაზღვრო მადლობის სიტყვები თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

მაშინ ყველას ახსოვს, რომ აჭარის მთელი შემოსავლის 79 პროცენტი უკლებლივ შემოდის საქართველოს გაერთიანებულ ბიუჯეტში, გვახსოვს ისიც, როგორ ხარკს უხდის აჭარა ლტოლვილებს, ისიც, როგორ არ ჩაკლა მან თავისი ეკონომიკა, კულტურა.

შემდგომ კი, როცა ჩვენს აფორიაქებულ დედაქალაქს ვუბრუნდებით და აქ დამკვიდრებული შიდაშლილობის, დაპირისპირებისა და სიძულვილის მორევში ვეხვევით, ყველაფერს დავიწყებას ვაძლევთ.

არ გვიკადრება ეს, ბატონებო!

ამას წინათ, ერთი ჩვენი ქრისტიანული საქველმოქმედო ასოციაციის წინამძღოლმა, ცნობილმა ქალბატონმა მითხრა: — **ჩვენ ყველამ დღეს აჭარაზე უნდა ვილოცოთ და ვლოცულობთ კიდეც.**

რაღაც სასიამოვნოდ მენიშნა. სხვისი რა ვიცი, მე კი არასოდეს წავსულვარ აჭარაში, ბათუმში სასეირნოდ ან დროის სატარებლად... აქ ყოველთვის სალოცავად, საქმოდ, სამეგობროდ მივდიოდი, რადგან ვიცი, რომ გულწრფელია ჩემი აჭარელი ძმების ნათქვამი: — **აჭარა იყო, არის და იქნება საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ბურჯი ჩვენი ქართველობისა, სამშობლოს სიკეთისა და ერთგულებისა.**

გია შელიძე.

პროკურატურის მუშაკთა კახეთის რეგიონულ შეკრებაზე

კახეთის რეგიონში შედარებით სიმშვიდეა, მაგრამ კრიმინოგენური ვითარება მაინც დაძაბულია. საერთო დანაშაული წლევანდელ ერთგვარად შემცირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მკვეთრად გაიზარდა მძიმე დანაშაულობანი. გახშირდა მკვლელობა. მარტო გურჯაანის რაიონში წლეულს, 9 თვეში მზაკვრულმა ხელმა სიცოცხლეს გამოასალმა 19 ადამიანი. მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინათ თითო-ოროლა განზრახ მკვლელობა თუ მოხდებოდა ხოლმე, მთელი საზოგადოების უსაზღვრო აღშფოთებას იწვევდა.

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა რეგიონის სხვა რაიონებში. ძარცვას, ყაჩაღობას, ბანდიტობას და სხვა მავნე მოვლენებს ვერ გადაურჩა თითქმის ვერც ერთი სოფელი და დასახლებული პუნქტი.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები. ცხადია, დანაშაული მეტია მომხდარი, მაგრამ მათი უდიდესი უმრავლესობა გაუხსნელი „უპერსპექტივოა“. იგივე გურჯაანის რაიონში იმავე 9 თვეში გაუხსნელობის მიზეზით შეჩერებულია 126 სისხლის სამართლის საქმე. ამ მხრივ არც სხვა რაიონებს აქვთ სახარბიელო მდგომარეობა. უარესი უბედურება, როცა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები განზრახ ჩქმალავენ მომხდარ მძიმე დანაშაულს, დამნაშავეს ხელს აფარებენ და არ აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეებს. და თუ წინათ ეს ხდებოდა მეტწილად მოჩვენებითი კეთილდღეობის მიზნით, ახლა საქმე გვაქვს ქვენაგრძნობასთან, რომელსაც ვერ ასცდნენ. მომხვეჭელობის ცდუნებას აყოლილი ადამიანები.

ეს ფაქტები აღინიშნა გურჯაანში გამართულ პროკურატურის მუშაკთა კახეთის რეგიონულ შეკრებაზე. სადაც განიხილეს პრობლემები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პოლიტიკური ვითარების საქმეში რომ დაგროვდა. ასეა აგრეთვე საგანგებო მდგომარეობის მიმდინარეობაში და ა. შ. ინფორმაციებით გამოვიდნენ გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თელავის, დედოფლისწყაროს, ახმეტის რაიონების პროკურორები ზურაბ ტუღუში, გიორგი ყაჯრიშვილი, ზურაბ ოდიდაშვილი, ომარ ხარაიშვილი, შინგელ გოგოლიძე, დავით ანდრიაშვილი, ვაჟა ჯანყარაშვილი, იგორ ყურაშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი აკაკი დაუთაშვილი, საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი რომან მეგრელიძე, თელავის და გურჯაანის რაიონების პროკურორების მოადგილეები აკაკი მამულაშვილი, ზურაბ ჯოხაძე, სხვები.

კანონმა უნდა იკანონოს

ორატორები მარტო დანაშაულის სტატისტიკით როდი შემოიფარგლნენ. მათ თანმიმდევრულად ახსნეს მისი წარმოქმნის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ძირითადია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გართულება, რითაც ისარგებლეს ათასნაირი ჯურის დამნაშავე ელემენტებმა. მათი ერთი ნაწილი მიეტმასნა პოლიტიკურ პარტიებს ან გაერთიანდნენ კანონიერ და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში და რისხვად მოევლინენ მშრომელ ხალხს, აბობოქრდა ქურდული სამყარო და იგი კონსპირაციიდან დღის სინათლეზე გამოვიდა. პოლიციის ზოგიერთ სტრუქტურაშიც, მათ შორის სამხედრო და საგზაო პოლიციებშიც, აგრეთვე საკმაოდ შეიძვრნენ უსინდისო ადამიანები, ბოროტმოქმედნი და დამნაშავენი. ამჟამად პოლიციას უჭირს კბილებამდე შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ მოქმედება, რასაც ართულებს პოლიციის მწირი მატერიალურ-ტექნიკური შეიარაღება. ბენზინის უქონლობის გამოც პოლიციელებს არ ძალუძთ გადაადგილება, რაც აუცილებელია დანაშაულის „ცხელ კვალზე“ გახსნისათვის. თვით პოლიციელებსაც არ ჰყოფთ ნებისყოფა და ხალხის თვალში სახელი შეილახეს.

ძნელად მოსასმენი იყო ფაქტები, რომლებიც მიუთითებდა ქვეყნის [illegible] და ძარცვაზე. მაფიოზურმა ელემენტებმა და კლანებმა ჩალის ფასად შეისყიდეს სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტი: ღვინო, კონიაკის და არყის მასალები, გაიტანეს ქვეყნიდან და გამდიდრდნენ, ქვეყანა კი გაღატაკდა. გაძარცვულია საწარმოთა დიდი უმრავლესობა, მეცხოველეობის ფერმებს კი პირუტყვი თითქმის აღარ შემორჩა. ისიც აღიარეს, რომ მომხდარ დანაშაულში პროკურატურის ორგანოები თავს ვერ იმართლებენ. ჩვენ მხოლოდ მეთვალყურის როლში გამოვდიოდით და ხმას არ ვიმაღლებდით, თორემ ბევრის ჩარხი ასე უკუღმა არ შეტრიალდებოდაო, ამბობდნენ ორატორები.

ითქვა საბაჟოების არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, სასამართლო ორგანოების არაობიექტურობასა და უპრინციპობაზე, რომლებსაც გამოაქვთ მეტისმეტად ლმობიერი განაჩენები და ბოროტ დამნაშავეს დაუსჯელს სტოვებენ. ერთი სიტყვით, არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს ეხება და მის გარშემო არ შეჩერებულიყვნენ. ყველაფერი გულდასმით გაანალიზდა, შემუშავდა მდგომარეობის მკვეთრი გამოსწორების ღონისძიებანი. ამიერიდან კანონი იკანონებსო, აღნიშნავდნენ შეკრების მონაწილენი.

შეკრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ბატონმა **როლანდ გილიგაშვილმა.**

შეკრების ყველა მონაწილე გაელენთილი იყო ერთიანი სულისკვეთებით: ისინი მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის, პირადად სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის საგარეო და საშინაო პოლიტიკას, აუცილებლად მიიჩნევენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლას.

მშრომელი კახეთი, საქართველოს ეს თვალმარგალიტი, დაუღალავად იღვწის და იბრძვის, რათა უსწრაფესად დასძლიოს ქვეყნის თავს დატეხილი სიძნელეები, მოიშოროს ყველა მტარვალი და მეხანათი, კვლავაც ერთგულად იაროს ნაყოფიერი შრომისა და ძიების გზით.

დავით ბიწაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში მნიშვნელოვნად იმატა დამნაშავეობამ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში, არნახული მასშტაბები მიიღო კორუფციისა და მაფიოზური ჯგუფების დანაშაულებრივმა ქმედებებმა, რაც უზარმაზარ ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს, ადგილი აქვს ეკონომიკურ საბოტაჟს, სახელმწიფო და ეროვნული სიმდიდრის ძარცვის ფაქტებს, ყალბ საბანკო ოპერაციებს, უკონტროლოდ გაედინება ეროვნული სიმდიდრე, სხვადასხვა დანაშაულებრივი მეთოდებით გატაცებულია მილიარდობით ფულადი სახსრები, მოშლილია სახელმწიფო მაკონტროლებელი მექანიზმები, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის დამნაშავეთა დაუსჯელ მოქმედებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო ამოცანაა პროკურატურის, უშიშროების და საკონტროლო ორგანოებთან ერთად გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს აღნიშნული სახის დანაშაულობანი.

გამომდინარე ზემო აღნიშნულიდან გავალებთ:

1. სამინისტროს სისტემაში შეიქმნას ეკონომიკურ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქვედანაყოფი.
2. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110, 117 და 118 მუხლების საფუძველზე აღნიშნულ სამსახურს დაეკისროს განახორციელოს საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი, ზემო აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა აღმოჩენისა და დამნაშავე პირების დადგენისა და დაჭერის მიზნით.
3. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ხელი შეუწყონ და სათანადო პირობები შეუქმნან ეკონომიკურ დამნაშავეობასთან მებრძოლი სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებას.
4. მაფიოზური კლანების და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლამ ხელი უნდა შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას სახალხო მეურნეობის ყველა სექტორში, რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1993 წლის 13 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
იგორ გიორგაძის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იგორ გიორგაძე საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
სამხედრო ტყვეთა, მძევალთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა საკითხების შემსწავლელი კომისიის შესახებ

აფხაზთა მხარის მიერ 27 ივლისის შეთანხმების ვერაგულმა დარღვევამ გამოიწვია საბრძოლო მოქმედების ესკალაცია. ტყვედ ჩავარდა მრავალი სამხედრო პირი, მძევლებად დარჩა ათასობით ქართველი და არაქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა, დაიღუპა ასობით სამხედრო მოსამსახურე, მოხალისე და მშვიდობიანი მოქალაქე, საგრძნობლად გაიზარდა უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა რიცხვი.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე:

1. შეიქმნას სამხედრო ტყვეთა, მძევალთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.
2. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული კომისიის მუშაობაში თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის სამინისტროების, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის, რესპუბლიკის პროკურატურის, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის, სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მონაწილეობა, დასახელებული სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებმა ორი დღის ვადაში მიავლინონ კომისიაში პასუხისმგებელი თანამდებობის პირები და უზრუნველყონ მისი დაკომპლექტება.
3. დაევალოს კომისიას მოიძიოს და დააზუსტოს სამხედრო ტყვეთა, მძევალთა, დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიები, აწარმოოს მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან ტყვეთა და მძევალთა გათავისუფლების, დაღუპულთა გადმოსვენებისა და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა ძიების შესახებ, დაამყაროს საქმიანი კონტაქტები გაეროსა და ევროგაერთიანების მისიებთან, საერთაშორისო წითელ ჯვართან და სრულად გამოიყენოს მათი შესაძლებლობანი.
4. საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის ბაზაზე შეიქმნას კომისიის მუდმივმოქმედი ფუნქციონარული სამუშაო ჯგუფები. კომისიისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის კოორდინაცია დაევალოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსანდრე კავსაძეს.
5. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა აღმოუჩინონ კომისიას ქმედითი დახმარება. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ი. ანდრიაძე), საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ. ინჯია), საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (გ. გოგიჩაიშვილი) უზრუნველყონ კომისია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით მათი განაცხადის საფუძველზე.
6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (დ. იაკობიძე) გაითვალისწინოს კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯების ანაზღაურება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პირადი სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის
განცხადება

ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურმა გაავრცელა თავისი განცხადება, რომელშიც იუწყება, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობა მზად არის „დაინტერესებულ ქვეყნებთან" ერთად განიხილოს ამიერკავკასიის რკინიგზის შემდგომ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

განცხადების ავტორები აუღელვებლად ამტკიცებენ, რომ სამართალდამცავი ორგანოები ახორციელებენ აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში წესრიგის დამყარების ღონისძიებებს. რაც შეეხება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს, იგი „გადაწყდება სამუშაო წესით ომის შედეგად დანგრეული სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის აღდგენის კვალობაზე".

სეპარატისტთა ჭეშმარიტად ბარბაროსული ცინიზმი მხოლოდ მათს ცხოველურ ულმობელობას თუ შეედრება.

აღმოდებულ ნანგრევებად გადააქციეს რა აფხაზეთის ქალაქები და რაიონები, მათ ახლა მოუნდათ „დაინტერესებულ ქვეყნებთან" ერთად განიხილონ რკინიგზის ექსპლოატაციის პრობლემები.

ძალმომრეობის სისხლიანი ეიფორიით გაბრუებულ სეპარატისტებს, რომლებმაც მეოცე საუკუნის მიწურულს მშობლიური მიწიდან აჰყარეს 200 ათასზე მეტი კაცი და სახელმწიფო დონეზე განახორციელეს ქართველთა გენოციდი, ველურივით სჯერათ, რომ ყველაფერი ეს ხახვივით შერჩებათ. მათ ეჭვიც კი არ ეპარებათ, რომ ქართველების მოსპობით სპობენ საკუთარ ხალხსა და მის მომავალს, რომ მათი ხალხი ვერ გაუძლებს მოხუცების, ქალების, ბავშვების უდანაშაულოდ დაღუპულ სულთა ტვირთს, რომ ამ ტვირთს შეუძლია გასრისოს ერის მომავალი თაობები. გასრისოს ზნეობრივად, მორალურად და ფიზიკურად.

შექმნილ პირობებში ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის მიერ გავრცელებული ამგვარი განცხადება შესაბამისი კომენტარების გარეშე საქართველოს მწუხარების ცინიკური დაცინვაა.

სანდრო კავსაძე.

საუბარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ელჩთან

12 ოქტომბერს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დეონ ვან სკოორი. იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის—სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისათვის რწმუნების სიგელების გადაცემასთან დაკავშირებით, რომლის საზეიმო ცერემონია ჩატარდა 13 ოქტომბერს.

საუბრის დროს განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები. აღინიშნა, რომ საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას აქვთ ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობის პირობებში მთლიანად გამოიყენონ თავიანთი ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი.

რეალისტური და სწორი გადაწყვეტილება

კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი მხარს უჭერს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის შესახებ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ სიტუაციაში, რომელშიც დღეს იმყოფება ჩვენი ქვეყანა ეს არის უმნიშვნელოვანესი რეალისტური და სწორი გადაწყვეტილება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ეკონომიკური დამოუკიდებლობის და ქვეყნის აღმავლობის მისაღწევად.

ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირების დამყარების გარეშე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან ძნელი წარმოსადგენია რომ ჩვენ რაიმე წარმატებებს მივაღწიოთ ამ ძნელ გზაზე.

ეს არ გამორიცხავს თანასწორუფლებიანი კავშირების დამყარებას დასავლეთის ქვეყნებთან, პირიქით ხელს შეუწყობს მათ განმტკიცებას.

დღეს ჩვენ უნდა ჩავერთოთ ეკონომიკურ, კულტურულ, სამეურნეო კავშირებში მსოფლიოს ყველა ქვეყნებთან მიუხედავად მათი მასშტაბებისა და სახელმწიფო-პოლიტიკური წყობისა.

ცრუპატრიოტულ რიტორიკას არ შეუძლია პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე. პირიქით, იგი ზრდის დაძაბულობას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ.

ყველას კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ჩვენი ხსნა ჩვენსავე ხელთაა. ჩვენ გვმართებს მშვიდი, შემოქმედებითი და დაძაბული შრომა, რაც იქნება საფუძველი ქვეყნის აღმშენებლობისა.

ერთხელ კიდევ უნდა ამოვუდგეთ მხარში ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს და ბოლომდე ვზიდოთ ის ტვირთი, რომელიც დღეს ყოველ ჩვენგანს აწევს მხრებზე. დაუღალავად ვიშრომოთ დემოკრატიული, აყვავებული, თავისუფალი საქართველოსათვის.

მოვუწოდებთ ყველა ორგანიზაციას განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოხატონ თავისი პოზიცია ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენისადმი.

კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით **თენგიზ კიტოვანი** დაინიშნა გვარდიის სამმართველოს საპატიო უფროსად.

გენერალ-მაიორი **ჯემალ ჭუმბურიძე** დაინიშნა გვარდიის სამმართველოს უფროსად.

აფხაზური აპოკალიფსი

ალექსი ჩელნოკოვი

გამარჯვებულთა სისხლიანი ლხინი სოხუმში

რუსეთ-აფხაზეთის საზღვრის მახლობლად შევიტყვე, რომ ათიათასობით ქართველი აყრილა და ხიზნად ქცეულა. ჩემი ყურით მოვისმინე, როცა პირველ ოქტომბერს რადიოტელეფონით რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელს იური დიაკოვს შეატყობინეს, რომ გაყინულ ქვის „ტომარაში" ბავშვები და მოხუცები, ქალები იხოცებიან იმის გამო, რომ არა აქვთ სურსათი, თბილი ტანსაცმელი. საზარელი ომი აფხაზეთში, რომელიც გენოციდად იქცა, სოხუმის აღების შემდეგაც გრძელდება...

ქართველები აფხაზეთში თითქმის აღარ არიან

იყო თუ არა ეს ტრაგედია გარდაუვალი? მიმდინარე ზაფხულის დამლევს ჯერ კიდევ ღვივოდა იმის იმედი, რომ შეიძლებოდა შეწყვეტილიყო ომი. ამოქმედდა აფხაზეთში სიტუაციის მომწესრიგებელი გაერთიანებული კომისია, რომელიც შეიქმნა 27 ივლისს რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შედეგად. მან შექმნა თავისი საგუშაგოები დაპირისპირებულ მხარეთა გამყოფი მდინარე გუმისთის გაყოლებით. ქართველთა მხარემ ორასზე მეტი საარტილერიო ქვემეხი გაიტანა ზღვით ფოთში. აფხაზეთის მხარემ კი დამალა ისინი რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფში.

— მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა შეთანხმების ორმხრივი დარღვევა, — თქვა აფხაზეთში სიტუაციის მომწესრიგებელი სამმხრივი კომისიის რუსეთის წარმომადგენელმა. — საქართველოს მხარე ვერ იცავდა სამხედრო ტექნიკის გატანის ვადებს. აფხაზეთის მთავრობამ შეწყვიტა კომისიის თავისი ნაწილის საქმიანობა და 16 სექტემბერს 5 საათსა და 40 წუთზე აფხაზთა რაზმებმა დაიწყეს სოხუმის შტურმი.

ქალაქიდან და მიმდებარე სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციას ეწეოდა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის საგანგებო რეაგირების სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი იური დიკოვი.

— ეს იყო საზარელი სანახაობა, — თქვა მან. — ნავსადგურს მოაწყდა უამრავი ხალხი, საშინელი პანიკა დაიწყო. ჯარისკაცები ჰაერში ისროდნენ, რათა ოდნავ მაინც დაეშოშმინებინათ შიშით გონწართმეული ადამიანები. მაგრამ ომს შეჩვეული ქალები და ბავშვებიც კი არ აქცევდნენ არავითარ ყურადღებას სროლას. ჩემს თვალწინ ვიღაცა ქალმა ახალგაზრდამ წყალში მოისროლა ხანდაზმული ქალი და გასასვლელს მიაშურა. როცა კიბესთან მივიდა, შარვლის უკანა ჯიბიდან ათიათასმანეთიანი კუპიურების დასტა ამოიღო და ოფიცრებს აჩეჩებდა ხელში, რომლებიც ლტოლვილთა ჩასხდომას ხელმძღვანელობდნენ.

და მაინც მოხერხდა სამხედრო გემებით ფოთში ოცი ათასამდე ქართველის გადაყვანა, ხოლო სოჭში — ხუთასამდე რუსისა. როგორც სამხედროებმა მითხრეს, რუსულენოვანი მოსახლეობის მეტი ნაწილი სოხუმში დარჩა — არ ვიცი, ინფორმაციის უქონლობის, თუ აფხაზთა ხელისუფლების „წესიერების" იმედით. ლტოლვილთა უკანასკნელი პარტია ქალაქიდან 28 სექტემბერს გავიდა.

ახლა, როგორც დიაკოვმა თქვა, რესპუბლიკაში გენოციდია გამეფებული. მან საკუთარი თვალით ნახა ზღვაში ჩაყრილი ათობით გვამი — მუცელგამოფატრული ქალები, მოჭრილი თავები, რომლებიც პლაჟებზე ფიცრის საწოლებს შორის ეყარა.

— აფხაზეთიდან თითქმის ყველა ქართველი გავიყვანეთ, — თქვა დიაკოვმა, — ლტოლვილები მიმოიფანტნენ მთებში ან სარდაფებში იმალებიან. დიდძალი ქართველია თავმოყრილი სვანეთში, და საქართველოს ხელმძღვანელობის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მათი გამოყვანა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. შორეულ მთის ხეობაში სამხედრო ვერტმფრენების გაგზავნა ეკიპაჟების ნაღდ სიკვდილზე წასვლას ნიშნავს. ასეთ გაუკითხაობაში ნებისმიერ მხარეს — როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთისას — შეუძლია საბრძოლო მანქანა რაკეტით ჩამოაგდოს.

გუდაუთა, რომელიც სოხუმიდან საათნახევრის სავალზეა, უნდა ითქვას, ერთადერთი შედარებით უსაფრთხო ადგილია აფხაზეთში. აქ განლაგებულია რუსეთის შეიარაღებული ძალების საჰაერო-სადესანტო პოლკი და მფრინავთა ქვედანაყოფები. ბეტონის ბლოკებითა და ავტომანქანებით შემორტყმულ ქალაქის ცენტრში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას რეზიდენციაა.

თუმცა 20 სექტემბერს რუსეთმა სანქციები გამოიყენა სოჭის შეთანხმებათა დარღვევისათვის და ელექტრომომარაგება და სათბობის მიწოდება შეუწყვიტა აფხაზეთს, მაგრამ გუდაუთა პრაქტიკულად არ დაზარალებულა ქართველ-აფხაზთა ერთწლიანი ომის დროს. აქ მომცრო, რამდენიმე ათეული ხუთსართულიანი შენობა თუ დგას, დანარჩენი ლამაზ განცალკევებულ სახლებს უკავიათ, რომლებიც სვიისა და ვაზის თალარებშია. ომის სუნთქვას მხოლოდ მაშინ გრძნობ, როცა გვერდით საზარელი სისწრაფით ჩაიქროლებენ ხოლმე უცხოური და „ჟიგულის" მარკის მანქანები, რომელთა ფანჯრებიდან ავტომატის ლულებს გამოუყვიათ თავი. თითქმის ყოველი სახლის ეზოში, რომლებიც რკინის ღობეებით არიან გარშემორტყმული, — ორი-სამი ავტომანქანა დგას, რომლებსაც სანომრე ნიშნები არა აქვთ.

მოგვიანებით, როცა სამხედრო ნაწილის განლაგებაში დავბრუნდი, ოფიცრებისაგან შევიტყვე, რომ ამ ავტომობილების უმრავლესობა დახოცილ ან სოფლებიდან გაქცეულ ქართველებს ეკუთვნოდა. ახლა გუდაუთაში ხუთ მილიონ მანეთად „ვოლვოს" შეძენაც კი შეიძლება. და, როგორც ამბობენ, ავტომობილის ფასები, ეტყობა, დაიწევს. ას ლიტრ ბენზინში კი სამხედროებს აფხაზები იაპონურ ტელევიზორს სთავაზობენ. შეიარაღებული აფხაზები საათობით სხედან სამხედრო ნაწილის შესასვლელთან და იმედოვნებენ, რომ „კეთილი ჯარისკაცი" ერთ ან ორ ლიტრ ბენზინს ჩამოუსხამს.

მაოხართა გზა

2 ოქტომბერს დილით სოხუმში გაგზავნეს ჯარისკაც-მედესანტეთა ათეული. პოლკის მეთაურმა სამ თანმხლებ მედესანტეს უბრძანა თან წაეღოთ სრული საბრძოლო კომპლექტები და ჯავშანჟილეტები ჩაეცვათ. ავტომატმომარჯვებული „ცისფერბერეტიანები" არმიელთა სატვირთო მანქანის მარცხენა ბორტის გაყოლებით ჩამწკრივდნენ და მანქანა გველივით დაკლაკნილ მთიან გზას დაადგა.

გზად კი გვხვდებოდნენ ავეჯით, ელექტრონიკითა და სხვადასხვა საოჯახო ბარგით დატვირთული მისაბმელიანი ტრაქტორების, კამაზებისა და მსუბუქი ავტომობილების ქარავნები. „ლტოლვილები არიან?" — ვკითხე მედესანტეს. „მაოხრები".

ნახევარი საათის შემდეგ ჩავედით სოხუმის გარეუბანში — დაბა ეშერაში. აქ დისლოცირებული იყო აფხაზთა არმიის მოწინავე რაზმები. ადგილობრივი პანსიონატის შენობაში მდებარეობდა მისი შტაბი. არც ერთი გადარჩენილი სახლი. დაცარიელებული ფანჯრები, ჩამონგრეული სახურავები. გამჭვარტლული კედლები ტყვიებითა და ჭურვების ნამსხვრევებით არის დაკაწრული. ირგვლივ ძეხორციელს ვერ ნახავთ.

ქვემოთ, ხიდთან, ზედ მდინარე გუმისთის ნაპირთან აღმართულა აფხაზთა თავდაცვითი ნაგებობები. მდინარის მეორე ნაპირზე ქართველთა არმიაა. ტანკსაწინააღმდეგო თხრილებიდან გვამის სუნი გვცემს. „დახოცილ ქართველთა ცხედრებია, — გვითხრა ერთ-ერთმა მესანგრემ, — ჯერ კიდევ არ გაგვიტანიათ: თავდაპირველად ირგვლივ მდებარე ტერიტორიაა განსანაღმავი".

ბზიფის გზატკეცილზე გავიდით, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ავტომაგისტრალია. აფეთქების ტალღებს ყველგან ჩაუმსხვრევია საცხოვრებელი სახლების მინები, ტყვიამფრქვევის ჯერს დაუცხრილავს ლითონის ჭიშკარი. აქა-იქ ნახანძრალი სახლები ჩანს, მაგრამ ნგრევა აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ფრონტისპირა გარეუბნებში.

ღობეებზე შევნიშნეთ მწვანე და წითელი ფერის ლენტები. „აფხაზთა არმიის ფერებია". — განმიმარტა სამხედრომ. სახლების ჭიშკრებზე ვიღაცას საღებავით წაუწერია „ჰასან ჩიჩნია დაკავებულია" ან „შამბა დაკავებულია". „დაკავებულია, დაკავებულია...." — თითქმის ყოველ სახლზე შეხვდებით ამას. გვერდით კი აფხაზური ან სხვა გვარია წარწერილი, ყოველ შემთხვევაში, ქართული — არა. ჯარისკაცებმა გვითხრეს, რომ ბზიფის გზატკეცილზე ქართველთა მრავალი ოჯახი ცხოვრობდა... ნათლად ჩანს, რომ დამპყრობლებმა უკვე დაისაკუთრეს და თავს ბატონ-პატრონად თვლიან ქართველთა სახლებში. მტვერს ბერტყავდნენ სხვისი ბალიშებიდან, რეცხავდნენ სხვის ვარცლებში, ჭამდნენ სხვისი თეფშიდან. აბა, რა მოსატანია გატაცებული ჟიგულები" — უზარმაზარი ქუჩა, მთელი სახლებით დამპყრობთა ხელში აღმოჩნდა.

კუნძული ცეცხლის ზღვაში

სოხუმის განაპირას მდებარე 901-ე საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი ჩვენი მარშრუტის ბოლო წერტილია. აქაც ყველგან წავაწყდებით ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ომის ხანძრის კვალს. სასადილოს ქვითკირის შენობა სულ ერთი დღის წინ გაურემონტებიათ. ჩამოვარდნილი ჭურვების შედეგად ამოთხრილი ორმოებისათვის მიწა წაუყრიათ.

— სოხუმისათვის ბრძოლების დაწყებისთანავე, — გვითხრა ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ალექსი ჩარუშინმა, — ჩვენ აღმოვჩნდით თავისებური კუნძული ცეცხლის ზღვაში. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ზოგჯერ ცეცხლს გვიშენდნენ როგორც ქართველთა ისე აფხაზთა პოზიციებიდან. 17 სექტემბერს დაიღუპა რიგითი ვალერი ლიაშჩენკო. 28 რიცხვში სასიკვდილოდ დაჭრეს ეფრეიტორი ევგენი ლაიტერი, რომელიც ყარაულში იმყოფებოდა სოხუმში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პანსიონატთან. გვყავს რამდენიმე მძიმედ დაჭრილი.

ბატალიონი აბსოლუტურად უმწეოა ჭურვების ზალპების წინაშე. არც ერთი მიწისქვეშა თავშესაფარი არ არის. ერთადერთი ბეტონის ნაგებობა კლუბის შენობაა. ისიც, როგორც ჩარუშინმა გვითხრა, „სახელდახელოდ ააშენეს სამხედრო მშენებლებმა და თავის ნანგრევების ქვეშ შეიძლება ბატალიონის მთელი პირადი შემადგენლობა ჩამარხოს".

მედესანტეთა მთავარი ამოცანაა დაიცვან პანსიონატი, რომელშიც ახლა ოფიცერთა ოჯახები და ასობით ლტოლვილი ცხოვრობს. როგორ ძლებენ ისინი საფრონტო ქალაქში? სამას მეტრში ავტომატის ჯერმა წააცალა კინწიწრო ხეს. ადამიანებს არა აქვთ სინათლე, წყალი, კავშირი გარე სამყაროსთან.

ბატალიონის სამზარეულოს მენიუს შეადგენს ქერის ბურღული, კონცენტრატის წვნიანი, ასი გრამი მოშუშული ხორცი კაცზე. ბოსტნეულს, თქვა ბატალიონის მეთაურმა, ჯარისკაცები წელიწადში ორჯერ თუ ხედავენ ხოლმე. ირგვლივ მინდვრები სულ გადაბუგულია, გუდაუთიდან ვიტამინების ჩამოტანა კი უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული. მიჩვენეს ორცხობილა, რომელიც უკვე კარგახანია პურის მაგივრობას სწევს. გავხსენი პირველივე პაკეტი და გამაოცა იმან, რომ იგი მოფენილი იყო პატარ-პატარა შავი ნახვრეტებით. „რა არის ეს — ჭიაყელიანი ორცხობილა?" „აბა, ერთი მაგიდას დაარტყი და ნახავ", — გაეცინა ბატალიონის მეთაურმა. პირველივე დარტყმისთანავე მაგიდაზე ჭიები გამოიყარა. „აი ასე ვიკვებებით აქ!".

ბატალიონში ოფიცრის საშუალო ხელფასი ასი ათას მანეთს ოდნავ თუ აღემატება. მაშ, რა აიძულებთ მედესანტეებს გასწიონ ასეთი დიდი რისკი? ბატალიონის შტაბის უფროსმა მაიორმა ვლადიმერ სოლოვიოვმა, ყოფილმა „ავღანელმა", თქვა: „რისკი ჩვენი პროფესიაა. მაგრამ მთავარია ის, რომ ქალაქში დარჩნენ ლტოლვილები, რუსთა ოჯახები, რომელთათვის ბატალიონი გადარჩენის უკანასკნელი იმედია".

სხვა გაზეთებიდან

ИЗВЕСТИЯ

მკვდარი ქალაქი

„**ჯიპით**" ვტოვებთ ბატალიონის ტერიტორიას. ოფიცრები ჯავშანჟილეტებში გამოწყობილან და ავტომატებით არიან შეიარაღებული. ბატალიონის მეთაური მაგნიტოფონს ბოლომდე უწევს ხმას. სიმღერის „ბატონო ოფიცრებო" ჰანგები არარეალურად გვეჩვენება, ჩვენ ხომ ნახევრად დანგრეულ ქალაქში ვართ. ქუჩაში მოხეტიალე მეავტომატეები შემობრუნდებიან, თვალს აყოლებენ ავტომობილს. ზურგში ყრუანტელი მივლის, მაგრამ მამშვიდებს მედესანტეთა აუღელვებელი სახეები.

მრავალსართულიანი სახლებით გაშენებული სოხუმის ახალი რაიონი, როგორც ჩანს, ჩინებული სამიზნე ყოფილა არტილერიისათვის. მთლიანად დანგრეულია. ჭურვებს დაუხვრეტიათ ბეტონის კედლები. მზე იჭყიტება კედლებში ჩარჩენილი ნახვრეტებიდან. „აღდგენას ეს რაიონი არ ექვემდებარება", — განმიმარტა ოფიცერმა.

მშვიდობის პროსპექტზე ვთხოვე მანქანა პირველივე სახლთან გაეჩერებინათ. კედელი ნახევარ მეტრზე შეუნგრევია ჭურვს, კარი ყურთამდეა მოღებული. ზღურბლზე რაღაც ნივთები ყრია. „ვინ ცხოვრობდა აქ?" ვკითხე მეზობელი სახლიდან გამოსულ ხანდაზმულ ქალს. „ქართველები, ცოლ-ქმარი წითლიძეები", — ქალმა შეშინებულმა გადახედა მედესანტეს, რომელიც, ყოველი შემთხვევისათვის, ჩამდგარიყო ეზოს შესასვლელში. „ახლა სად არიან ისინი?" — „არ ვიცი, შეგიძლიათ შეხვიდეთ ბინაში". სახლში ყველაფერი თავდაყირა დაგვხვდა. იატაკზე ეყარა წამლები და სახელმძღვანელოები. ერთმანეთში იყო არეული საბნები, ზეწრები და ტანსაცმელი. ამ სახლის მცხოვრებლებმა, თუკი ცოცხლები დარჩნენ, რასაკვირველია, ალბათ, ყველაზე საჭირო ნივთების წაღებაც კი ვერ მოასწრეს.

როგორც ეტყობა, მთავრობის სახლს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ. შენობის წინ დგას დამწვარი ჯავშანტრანსპორტიორი. კიბეები მოფენილია ნაღმებისა და ჭურვების ნამსხვრევებით. პირველი სართულიდან ცაა მოსჩანს. არმატურაზე აქა-იქ ჩამოკიდებულია ბეტონის ფილების ნაგლეჯები. მეტნაკლებად გადარჩა პატარა მინაშენი. ფანჯრის რაფებზე ცეცხლგამჩენი ხსნარით სავსე ბოთლებია. ერთ-ერთ ოთახში, როგორც ჩანს, განლაგებული იყო საქართველოს გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის აფხაზეთის განყოფილება. იატაკიდან ავიღე რამდენიმე ფურცელი, რომლებიც ქალის ხელით იყო შევსებული. „ძმობის კავშირის წესდების პროექტი" დაფუძნდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარების მიზნით. წესდების დამტკიცება ვეღარ მოასწრეს...

ელექტროგადამცემი ხაზები დაწყვეტილია. ობობას ქსელივით მოსდებია სადენები გზებს. და თუნდაც ახლა რუსეთმა მისცეს სოხუმს შუქი, არც ერთ სახლში იგი არ აინთება. ჩალეწილვიტრინებიანი მაღაზიები გაძარცულია. „სად შოულობთ პროდუქტებს, რას ჭამთ?", — ვკითხე ერთ გამვლელს. „ორცხობილას, კონსერვებს. ქალაქის აღების შემდეგ გვირიგებდნენ ქალაქის საწყობებში აღებულ პროდუქტებს. რაღაც მარაგი ჯერ კიდევ გვაქვს".

სისხლით ნაბახუსევი

ყოფილ ტურბაზა „ჩელუსკინელიაში" გასული წლის აგვისტოში ქართველთა შეტევამდე განლაგებული იყო 901-ე ბატალიონი. აქ ცეცხლში მოჰქონდა საჭმელი წარსულში თბილისის „დინამოს" ცნობილ მოთამაშეს გენო ზარიას, რომელიც გზის გაღმა ცხოვრობდა. ახლა მისი სახლი დანგრეულია, სად არის თვითონ — არავინ უწყის.

ტურბაზაში შარშანდელი ბრძოლების შემდეგ შესახლეს უსახლკაროდ დარჩენილი ქართველთა ოჯახები. საძილე კორპუსი, თუ ნგრევით ვიმსჯელებთ, გააფთრებით იცავდა თავს. ოთახებში ყრია ყუმბარსატყორცნები, ვაზნების გროვები, ჩაჩქნები, ჯავშანჟილეტები. შენობის მოიერიშეებმა, ეტყობა, გული იჯერეს. ქვაბში, ყაყაჩოს ღეროებს შორის ტივტივებდა ერთჯერადი შპრიცები (აშკარად დებდნენ ოპიუმის ხსნარს და იშხაპუნებდნენ). სისხლიან ტახტზე ყრია ქალის საცვლები, ქალის გაფატრული ჩანთიდან ამოვარდა საოჯახო ფოტოსურათები. ოდნავ მოშორებით ყვავილნარიდან ამოშვერილი იყო აგონიაში მოკრუნჩხული ხელი. გზაჯვარედინზე, მდინარე კელასურის ხიდთან, კინაღამ გადავუარეთ მამაკაცის გვამს. გზისპირას კიდევ რამდენიმე დავინახე. ერთ-ერთის გვამს ღრღნიდა უპატრონო ძაღლი. სულ დავითვალე ნახევრად სამხედრო ფორმაში გამოწყობილი თერთმეტი გვამი. ბალახებში იდო ორი მოკლულის — ვალერი კორტაძის, 1952 წელს დაბადებულის და ნუგზარ მესხის, 1958 წელს დაბადებულის პასპორტები. ათ მეტრში საუბრობდა სამი ქალი, რომლებიც ყურადღებას არ გვაქცევდნენ. „ვინ არიან ეს ადამიანები? რატომ არ გააქვთ აქედან?" — „ეს გენერალ ადამიას მცველები არიან. ეგდონ რა: ძაღლებს — ძაღლური სიკვდილი".

ამ ადამიანთა გვამები — ბარბაროსული წესჩვეულებით — გამოფინეს ყველას სანახავად. სხვებს შეძლებისდაგვარად მიწას აბარებენ. ნაომარი სოხუმის მცხოვრებთათვის ჩვეულებრივი სცენა: მოხუცი ბერიკაცი ძლივძლივობით მიათრევს ურიკას, უკნიდან მას უბიძგებს დედაბერი. ურიკაზე ერთმანეთზე დევს სამი საბანში გახვეული გვამი.

ქალაქში გახრწნილი ადამიანების გულისამრევი სიმყრალეა. თუმცა ცენტრალური ქუჩები უკვე გაწმენდილია. მაგრამ, როგორც აფხაზეთის მთავრობის პრემიერის მოადგილემ ლეონიდ ლაკერბაიამ მითხრა, სახლებსა და პარკებში დღემდე მრავალი მოკლულია. გარდა ამისა, ქალაქში წამდაუწუმ ისმის სროლის ხმა. გრძელდება დარბევები, ჩნდება ახალი მსხვერპლი.

სოხუმის ქუჩის რაიონში შევჩერდით, რათა გზა გვეკითხა. ძლივსძლივობით მიეხეტებოდა მთვრალი მეავტომატე, რომელსაც ლეიკოპლასტირით ჰქონდა თვალი აკრული. მას მოსდევდა ორი ქალი და ჭაბუკი. „სად მიგყავს ეს ხალხი?" — „უნდა გამოვარკვიო, ვინ არიან. არადა, მივახვრეტ გზად. მომყირჭდა ეს ომი". ერთმა მედესანტემ ბატალიონის მეთაურს შესთავაზა „აერთმია ამ ნაძირალასათვის ავტომატი".

ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებმაც ასეთი საზარელი რამ დაატრიალეს სოხუმში?

მძარცველები — გამარჯვებულთა მეორე ეშელონი

ქალაქის მოიერიშეთა დამკვრელი ძალა იყვნენ კაზაკები. მათ მიჰყვებოდნენ აფხაზთა, ჩეჩენთა, ოსთა, ადიღეველთა — სულ 10 ბატალიონი. კაზაკთა პირველი ასეული, რომელმაც ხელთ იგდო ცენტრი, დასახლდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სახლებში. ამ უბანზე სარდლობდა ყუბანის კაზაკთა ჯარის საველე ატამანი ნიკოლოზ პუტკო.

— რატომ ჩამოხვედით აქ?

— მეგონა, რომ აფხაზი ხალხი სამართლიანი საქმისათვის ომობს. ყოველ შემთხვევაში ქართველთა პრეტენზიები, ჩემი აზრით, აქ უსაფუძვლოა. ზოგიერთი კაზაკი აქ ჩამოვიდა, რათა თავი გამოეცადა.

— ხედავთ, რა საშინელება ხდება სოხუმში აფხაზთა არმიის მიერ მისი აღების შემდეგ?

— დიახ, ის, რაც ახლა ქალაქში ხდება, ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. რაღაც აუხსნელი რამ ხდება. ადამიანები, რომლებიც ახლა მაოხრობენ, არ მინახავს მოწინავე პოზიციებზე. ვერ წარმომიდგენია, რა იქნება შემდგომ. ტერორში ჰყავთ რუსი მოსახლეობაც კი. აფხაზეთის მთავრობა, პუტკოს თქმით, კაზაკებს დაჰპირდა სახლებს სოხუმში. მაგრამ ახლა, როგორც მივხვდი, ატამანის ოცნებაა როგორმე ცოცხალმა გააღწიოს ამ „ჯურღმულიდან", დაბრუნდეს კრასნოდარის მხარეში, სადაც მას საკუთარი ფერმა აქვს.

სახალხო მოლაშქრემ (მთხოვა მისი გვარი არ დავასახელო), რომელიც სამოყვრად ჩამოვიდა ჩერნეთიდან, მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც ძირითადი ნაწილები გადაადგილდნენ საქართველოს საზღვართან, ქალაქში შემოიჭრნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ურდოები და უბრალოდ გამდიდრების მოყვარულნი. მათი უმრავლესობა ახლომახლო სოფლებისა და ახლომდებარე ქალაქების მცხოვრებლებია. სწორედ ისინი, სისხლის სუნით გალოთებულნი, სარგებლობენ რა სრული უხელისუფლებობით ქალაქში, კლავენ, აუპატიურებენ, ძარცვავენ...

მეორე — აფხაზმა-ექსტრემისტმა ჩემი კითხვა მაოხრობის შესახებ უადგილოდ მიიჩნია. „იცი რა, — მიპასუხა მან, — მე სოხუმში რომ დავბრუნდი, ჩემი ნივთები მეზობელი ქართველის ბინაში ვიპოვე. აბა რას მეკითხები?" დაახლოებით იგივე მითხრა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწემ ბესლან ბარგანჯიამ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის ხელისუფლებმა შეგნებულად დატოვეს დედაქალაქი გასაძარცვავად.

აფხაზეთის მთავრობა არ ჩქარობს დანგრეულ ქალაქში ჩამოსვლას. ხელისუფლების წარმომადგენელთაგან აქ მხოლოდ ქალაქის კომენდანტია. რა არ ვიღონე, მაგრამ ვერავინ ვერ გაიხსენა მაოხრის დახვრეტის ვერც ერთი შემთხვევა. იმაზე, რომ ქალაქი სავსეა იარაღით და მას არავის არ ართმევენ, უკვე აღარაფერს ვამბობ. საქართველოს არმიის 23-ე ბრიგადის შტაბის შენობაში, რომელიც ქალაქს იცავდა, მე ვნახე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების, ყუმბარმტყორცნების შტაბელები, ტყვია-წამლით სავსე ყუთები. შენობაში შესვლა ყველას შეუძლია.

სოხუმიდან გამგზავრების დღეს — 5 ოქტომბერს კომენდატურის შენობაში არ შემიშვა დაცვამ: „მოდი ხვალ, მეთაურს არ სცალია". საფეხურებზე იჯდა მოხუცი კაცი. „მე რუსი ვარ, ბინიდან გამომასახლეს, — მითხრა მან. — კომენდანტმა მომცა დოკუმენტი, მაგრამ მან არ მიშველა". ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელიც ხელში ეჭირა გამოსახლებულს, ეწერა: „შესახლეთ მის ბინაში მისამართით...".

ამ დროს კომენდატურიდან მცველთა გარემოცვაში სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა აფხაზთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა. უაზროდ დამაშტერდა. მასთან მქონდა ერთი კითხვა, რომლის დასმა საჭირო არ არის: „მიმოიხედეთ გარშემო: თქვენ, წარსულში მეცნიერმა, რომელიც ჩასწვდით — ფრიად წარმატებითაც — ადამიანურ სიბრძნეს, როგორ უნდა იცხოვროთ აწი სულში ასეთი ტვირთით?".

სოხუმი-მოსკოვი.

შევჩერდეთ!

ქართველმა ხალხმა თავისუფლებისთვის ბრძოლაში მეტი დრო და ენერგია დახარჯა, ვიდრე აღმშენებლობასა და სხვა სიკეთის ქმნაში. მწუხარება მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო. ახლაც დაუსრულებელ ომებში ჩანაგდება ჩვენი ეკონომიკა და მეურნეობა, კულტურა და განათლება.

და აი, დამოუკიდებლობის მოპოვებამ იმედითა და სასოებით აავსო ერი, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?" და ჩვენ კვლავ განსაცდელის დღეები დაგვიდგა. სეპარატისტებთან ერთად იმპერიული ძალები აღიმართნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე. ბედმა ესეც არ გვაკმარა, ძმები ორად გაიყვნენ და იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დაიწყო ძმათამკვლელი ომი. ერთი ძმა ცხენისწყლის გაღმა დადგა, მეორე — გამოღმა. მართალია, გადამთიელებს მედგრად ვერ შევებრძოლეთ, მაგრამ ერთმანეთის წინააღმდეგ ალბათ მეტ შეუპოვრობას გამოვიჩენთ. ეს ნიჭი ჩვენში სატანამ ჩანერგა, რაც პრაქტიკულად არაერთგზის დაგვიმტკიცებია.

ღმერთი სარწმუნოებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და უზნეობისათვის მკაცრად სჯიდა ხოლმე იუდეველებს. ცოდვების გამო არაერთგზის მიწასთან გასწორდა იერუსალიმი.

ჩვენც დავიმსახურეთ ღვთის რისხვა, წყრომა. ღვთისა და ადამიანის სიძულვილით შეპყრობილებმა წავბილწეთ ქრისტიანული რწმენა, ეროვნული მორალი, შევმუსრეთ სალოცავები, დავხოცეთ ღვთისმსახურნი და მორწმუნენი, ამ ბოროტებისთვის მკაცრი სასჯელი დავიმსახურეთ. რაც სიყვარულით, სიმშვიდით, შრომითა და ლოცვა-კურთხევით უნდა მოვიხადოთ.

ძვირფასო თანამემამულენო, ჩემო ძვირფასო ძმებო, შვილებო, მეგობრებო! შევჩერდეთ, სანამ კიდევ დროა. სანამ მთლად არ გაგვიწყვეტია ერთმანეთი. ქართველთა სისხლი არ უნდა დაიღვაროს პოლიტიკური უთანხმოების გამო. ამისათვის არსებობს ბრძოლის ცივილიზებული ფორმები და მეთოდები. მხარი დავუჭიროთ სიმართლეს, ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას. ამის შესაძლებლობა ყველას აქვს. ნუ ავახმიანებთ იარაღს, დაუფიქრებლად ნუ გამოვკრავთ სასხლეტს თითს, ნუ ავატირებთ დედებს, მამებს, მეუღლეებს, შვილებს, ლაფში ნუ ამოვსვრით ქართველი ხალხის ღირსებას. გვეყო რაც გადავიტანეთ ამ ძნელბედობის ჟამს. გზებს ნუ გადავუკეტავთ ერთმანეთს, ნუ გავუმეტებთ შიმშილისთვის ბავშვებს და მოხუცებს. წამლებს ნუ მოვაკლებთ ავადმყოფებს, უკუბოლოდ ნუ დავმარხავთ მკვდრებს. ჩვენ ხომ კაცთმოყვარეობა ისტორიულად მოგვდგამს!

თუ ძმათამკვლელი ომი დასავლეთ საქართველოში არ ჩაქრა, აფხაზეთის ტრაგედია მასთან შესადარებლადაც არ გამოდგება, ღმერთმა ნუ ქნას ეს.

ვიფიქროთ ამაზე და ნათლად წარმოვიდგინოთ, რა უბედურება ტრიალებს დაღუპულთა ოჯახებში. ახლახან მწერალ რევაზ მიშველაძის ერთადერთი შვილის არჩილის დაკრძალვამ შემძრა, დღემდე ვერ მოვსულვარ გონს. მე ექვსი წლის წინათ 28 წლის ქალიშვილი, ორი შვილის დედა მიწას მივაბარე და განცდილი მაქვს შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. მით უფრო, რომ არჩილი დაუქორწინებელი იყო და ჩვენს საყვარელ მწერალს შთამომავალი არ დარჩა. და ყოველივე ეს რისთვის? განა ის გადამთიელის ტყვიამ იმსხვერპლა? არა, ის ხონში მოძმის მიერ ჩადებულმა ნაღმა შეიწირა.

ასეთი მწარე ხვედრი ბევრ სხვა ოჯახსაც ერგო. საბურთალოს პანთეონთან ახლოს ვცხოვრობ და მზარავს ავტომატების კაკანი, რომლითაც მხედრულ პატივს მიაგებენ დაღუპულებს. გული მიკვდება, ვფიქრობ, რა ვიღონო, რით დავეხმარო ჩემს ხალხს, რით შევუმსუბუქო ვარამი? გადავწყვიტე ამ წერილით მოგმართოთ ჩემო საყვარელო თანამემამულენო. გონს მოვეგოთ, ჯერ კიდევ არ არის გვიან, ჯერ კიდევ შეიძლება ვიხსნათ ბევრი სიცოცხლე; ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შევჩერდეთ? და უნდა შევჩერდეთ ახლავე. დაუყოვნებლად. ძალით ნუ გადავულახავთ ცხენისწყალსა და კაპარჭინას; მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ, ძმებიც ხომ ჩხუბობენ ზოგჯერ, მაგრამ მალე შერიგდებიან და კვლავ ერთგულ სისხლიკაცებად რჩებიან.

ჩემო საყვარელო ძმებო და მეგობრებო სამეგრელოდან. მე ცნობილი პედაგოგისა და მოღვაწის ლადო (ვლადიმერ) გაგუას ოჯახში აღვიზარდე. მამა ლექსებსაც წერდა. ბევრი მათგანი სიმღერად იქცა („ართი ვარდი"... ვაგიორქუ მა...", „სი ვარდი ორდი უგუუდირ დო"... და სხვ.) ის ერთიანი, განუყოფელი საქართველოს აპოლოგეტი იყო. ამ სულისკვეთებით აღვიზარდე მე ოჯახში, სოფელ კორტაინეთისა და ძველი სენაკის სკოლებში.

სამეგრელოში ყოველთვის სუფევდა ერთიანი საქართველოს, მისი სხვა კუთხეების მცხოვრებლებისადმი გულწრფელი სიყვარული. ხალხის ეს ამაღლებული გრძნობა დიდმა ილიამ იქ ჩასვლისთანავე შენიშნა და კმაყოფილებით თქვა: „სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო ვნახეო".

მუხლმოდრეკით გევედრებით, მებრძოლებო და მეთაურებო, მიუსხედით მაგიდას და მოილაპარაკეთ, შეთანხმდით! რა უნდა იყოს ისეთი, რომ ძმებმა ვერ გადაწყვიტონ.

ქვეყანა სიყვარულს უშენებია და არა მტრობას, სიძულვილს.

ვლადიმერ გაბუა,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ინფორმაცია 93

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრიდან გვაცნობეს, რომ ღამის განმავლობაში მდ. ცხენისწყალთან და მოხის მიმართულებით არასამთავრობო შეიარაღებული ფორმირებები აგრძელებდნენ საარტილერიო სროლას. მსხვერპლი არ არის. პოზიციურ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. სამთავრობო ძალები თავს იკავებენ შეტევის განხორციელებისაგან. ამ დროისთვის აღნიშნულ ადგილას შედარებით სიმშვიდეა.

თბილისი. ჯანდაცვის სამინისტროდან გვატყობინებენ, რომ თბილისის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მოთავსებულია 288 დაჭრილი და 280 ლტოლვილი, თბილისის პირველ საავადმყოფოში 150 დაჭრილი და 20 ლტოლვილია, III საავადმყოფოში — 12 დაჭრილი და 1 ლტოლვილი, IV-ში — 24 დაჭრილი და 19 ლტოლვილი, V საავადმყოფოში — 81 დაჭრილი და 4 ლტოლვილი. ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში მოთავსებულია 18 დაჭრილი და 5 ლტოლვილი, სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში — 47 დაჭრილი, ქალაქის II ბავშვთა საავადმყოფოში — 8 დაჭრილი, რკინიგზის საავადმყოფოში — 48 დაჭრილი, თვალის კლინიკაში — 4 დაჭრილი, დამწვრობის ცენტრში — 1 დაჭრილი და 3 ლტოლვილია, სეფსისის ცენტრში — 15 დაჭრილი და [illegible] ლტოლვილი. ნევროლოგიის ინსტიტუტში მოთავსებულია 27 ლტოლვილი და ექვსი დაჭრილი, III ბავშვთა საავადმყოფოში 8 ლტოლვილი.

ქუთაისის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში მოთავსებულია 18 დაჭრილი და 98 ლტოლვილი, ქუთაისის სამხედრო [illegible]ალში მკურნალობს [illegible], ლანჩხუთში მკურ[illegible] [illegible]ადის 5 დაჭრილი [illegible] რესპუბლიკურ საავა[illegible] მოთავსებულია [illegible] დაჭ[illegible] 1 საავადმყოფოში—2. [illegible]გდიდის რაიონულ საავადმყოფოში მკურნალობს 24 დაჭრილი. [illegible]ში მოთავსებულია 240 ლტოლვილი. ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 22 დაჭრილია. სამტრედიაში მოთავსებულია 8 დაჭრილი და 20 ლტოლვილი.

გორი. გორში მოქმედი საზოგადოება „ქართლის დედის" ინიციატივით შეიქმნა ქალთა ლაშქარი, რომელშიც რაიონში მცხოვრები ასობით მანდილოსანი გაერთიანდა. ლაშქარს სათავეში მოუდგა დამსახურებული ჟურნალისტი, [illegible]ქართლის ზონაში საქტელერადიო დეპარტამენტის კორესპონდენტი მაყვალა ოქრობირიძე.

თბილისი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კოზირევმა რადიოსადგურ „თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი გაამკაცრებს სანქციებს აფხაზეთის მიმართ, თუ გუდაუთის დაჯგუფება არ შეასრულებს სოჭის ხელშეკრულების პირობებს. „რუსეთი მზად არის რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად შეიყვანოს რუსეთის სადესანტო ნაწილები და უზრუნველყოს რეგიონში ყველა ლტოლვილის დაბრუნება", აღნიშნა ა. კოზირევმა.

თბილისი. „იბერიას" კორესპონდენტის ცნობით, გუდაუთის დაჯგუფების ლიდერმა ვლ. არძინბამ განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა გამორიცხოს ქართველთა მიმართ შურისძიების აქტები. ამ მიზნით შექმნილია სპეციალური საკომენდანტო ნაწილები, რომლებიც აკონტროლებენ სიტუაციას სოხუმში, ოჩამჩირესა და გალში.

თბილისი. „იბერიას" ცნობით, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ი. წერეთელმა განაცხადა, რომ იგი მზად იქნებოდა ფიზიკურად გაენადგურებინა „სნგ"-ს მომხრე ყველა ძალა, შესაბამისი სამხედრო ძალა რომ ჰქონდეს, რადგან მას ასეთი ძალა არ გააჩნია, ამიტომ ამჯობინებს მშვიდობიან ბრძოლას.

თბილისი. „იბერიასათვის" სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ მდ. ცხენისწყლის ორივე მხარეს ხდება ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია. უახლოეს ხანებში მოსალოდნელია დიდი შეტევითი ოპერაციების დაწყება.

საქართველოს ქალი — 70

მარადიული ვალი

რესპუბლიკის ქალთა საყვარელ ჟურნალს „საქართველოს ქალს" 70 წელი შეუსრულდა.

სახეშეცვლილი და განახლებული ხვდება ჟურნალი თავის იუბილეს.

რასაკვირველია, საიუბილეო-საზეიმო განწყობა არავის გვაქვს და მითუმეტეს ჩვენს ქალებს, რომელთა მხრებზე გადადის ქვეყნისა და ოჯახის ყველა გასაჭირი, მაგრამ კეთილი სიტყვის თქმა გაჭირვებაშიც ამხნევებს. ამის მაგალითია სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მისალმება „საქართველოს ქალის" რედაქციის ჟურნალისტებისა და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველებისადმი.

სასიხარულოა, რომ ჟურნალ-გაზეთების ასეთ სიუხვეში „საქართველოს ქალი" სათნო სიდარბაისლით და პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ულოცავს ძვირფას კოლეგებს სახელოვან იუბილეს, უსურვებს მათ სიმხნევეს. დაე, კვლავაც არ მოაკლდეს ჟურნალს მკითხველის სიყვარული და ერთგულება.

გთავაზობთ ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარი რედაქტორის ნარგიზა მგელაძის წერილს, რომელიც დაიბეჭდება ჟურნალის საიუბილეო (№ 7-8) გაერთიანებულ ნომერში.

ყოველდღიურ ფაციფუცში, არც თუ საამური ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმულები უცებ ჩვენც შევცბუნდით:

როგორ, 70 წელი? უკვე? და ისევ ნაღვლიანი, თუმცა არაფრისმთქმელი, მაგრამ ასეთ შემთხვევებში აუცილებლად სათქმელი სიტყვები: „როგორ გარბის დრო!"

აგერ გუშინ არ იყო 1974 წლის ნოემბერი?

მაშინდელი სტილის მიხედვით საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული თეატრი, სცენის სიღრმეში პროჟექტორით განათებული წარწერა „საქართველოს ქალი—50".

სიხარული. მილოცვები.

რა გვიხაროდა?

ალბათ სიცოცხლე. მომავალს იმედის თვალით ვუყურებდით.

ათი წელიც თვალისდახამხამებაში გავიდა. ის 60 წლის იუბილეც ზარზეიმით ჩატარდა.

რამპის შუქი ირეკლებოდა ჩვენი სათაყვანო ქალების მკერდზე დაბნეულ ორდენებზე, გმირის ოქროს ვარსკვლავებზე.

რა ვქნათ, ესეც ისტორიაა, რასაც იმის მიხედვით ვერ შეცვლი, მოგწონს იგი, თუ-არა!

ყოველ შემთხვევაში, იმ ორდენოსან, ვარსკვლავიან ქალებს არაფერი დაუშავებიათ. წვიმასა და ტალახში, წელში წახრილი მუშაობდნენ დაღლილები, ხელებჩაშავებულები, კალოშებში ფეხწადგმულები.

მაინც ყოფნიდათ ხალისი ასეთი დღეებისათვის დალამაზებულიყვნენ, წელში გამართულიყვნენ და ხალხში გამოსულიყვნენ, მორცხვად გაეღიმათ რეპორტიორის აპარატის წინ. სჯეროდათ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ! და ასეც იყო!

ჩვენი მშვენიერი ქალები!..

აგერ უკვე 70 წელიც...

ამჟამად, რასაკვირველია, ზარზეიმის, სცენისა და ყვავილების გარეშე.

დღეს საქართველოს მწარე დღეები უდგას, იქნებ ყველაზე მწარეც თავისი არსებობის მანძილზე.

აფხაზეთში დაღვრილი ჩვენი საუკეთესო შვილების მოწამეობრივი სისხლი არ აღმოჩნდა საკმარისი თხემით ტერფამდე შეიარაღებული სამთავიანი ურჩხულის დასამარცხებლად. სოხუმი დაეცა.

მაგრამ ამ დამარცხებამ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, ბევრ რამეს დაერქვა თავისი სახელი და და მოვლენათა ახსნა ბუნებრივ ლოგიკას დაექვემდებარა. როგორც გამადიდებელ შუშაში, ისე გამოჩნდა ვინ ვინ არის და ვინ რად ღირს.

ჩვენი თბილი მიწა ბევრი მომხვდურისთვის იქცა ცივ სამარედ. ისე რომ, გაკვეთილი მწარე მარტო ჩვენთვის როდი გამოდგა.

საიუბილეო ნომერში ნახავთ რეპორტაჟს რესპუბლიკური საავადმყოფოს პალატებიდან, სადაც მთასავით ბიჭებს ორივე ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს; დახედავთ ქალიშვილს, რომელმაც ომში თვალი დაჰკარგა, პურზე უშველებელი რიგებია. არ არის რძე, კარაქი, საპონი, ოჯახების უმრავლესობას სანატრელი აქვს ხორცი, თევზი, ყველი.

ჰოდა, რა გვეზეიმება? რა გვესცენება?

მაგრამ მაინც...

მაინც იმედით ვუცქერით მომავალს, მაინც სიმბოლურად გვეჩვენება, რომ სახელმწიფოს მეთაურმა, ჩვენმა ძველმა კეთილმა მეგობარმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, გამონახა დრო (ეს სოხუმის ტრაგედიამდე იყო) მოელოცა ჩვენი ჟურნალისათვის, გავემხნევებინეთ, მოგვფერებოდა, რადგან, როგორც ბ-ნი ედუარდი ბრძანებს: „როგორიცაა ქალი, როგორიცაა ოჯახი, ისეთივეა საზოგადოება. ჟურნალისათვის კი არ არსებობს უფრო მაღალი დანიშნულება, ვიდრე ოჯახის, საზოგადოების ზნეკეთილობის ამაღლება".

თუმცა იუბილეზე კრიტიკა მიღებული არ არის და ჩვენი მოკრძალებული შრომაც ამ მილოცვაში ღირსეულად არის წარმოჩენილი, ჩვენ მაინც მარადიულ ვალში ვართ ჩვენი მართლაც დასათნო, გონიერი, მშვენიერი მკითხველის წინაშე.

ძვირფასო ქალბატონებო, იყავით ჩვენთან, გიყვარდეთ ძველებურად და ჩვენ გავაკეთებთ თქვენი ყურადღების ღირს ჟურნალს.

ჩვენ ერთად გავაკეთებთ ამას, მაგრამ მაინც ვიქნებით თქვენთან მარადიულ ვალში, თუნდაც იმის გამო, რომ თქვენ პურის ლუკმას იკლებთ და გარემოებათა გამო გაძვირებულ ჟურნალს — სულის საზრდოს არ აკლებთ ოჯახს.

ღმერთი გიშველით!

ნარგიზა მგელაძე,
ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარი რედაქტორი.

დაღუპულ გმირთა მოსაგონებლად...

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების ხსოვნას უძღვნის კონცერტების ციკლს საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი, რომელიც მსმენელებს სთავაზობს არაერთ საინტერესო მუსიკალურ საღამოს. და, მიუხედავად ჩვენი ყოფის უმძიმესი ვითარებისა, როცა ქვემეხები ისევ ქუხს, როცა დასავლეთ საქართველოში უგუნურთა გამო იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, სულიერი განწმენდისა და ტკივილების დასაამებლად მუსიკის ძალას არაფერი შეედრება. სწორედ ამას ისახავს მიზნად საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მხატვრული კოლექტივი. მან წლის ბოლომდე დაგეგმილი კონცერტების პროგრამებში, როგორც წესი, თითო ისეთი ნაწარმოები შეიტანა, რომელიც აღიქმება როგორც ხსოვნა გულისა.

17 ოქტომბერს სიმფონიური ორკესტრი თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში იწვევს მსმენელებს. ამ დღეს აჟღერდება სიბელიუსის „სევდიანი ვალსი", მალერის პირველი სიმფონია „ტიტანი"...

სადირიჟორო პულტთან თბილისელები იხილავენ ქართული მუსიკალური კულტურის მეგობარს, პერუელ დირიჟორს დევიდ კლინგეს. ცნობილია ამ მუსიკოსის ერთგულება საქართველოსადმი. ამ ბოლო წლების მანძილზე იგი სწორედ მაშინ მოაშურებს ხოლმე ჩვენს ქვეყანას, როცა მას ყველაზე მძიმე დღეები უდგას.

თვის ბოლოს, 29 ოქტომბერს, გაიმართება მეორე კონცერტი, რომლის პროგრამაში დირიჟორმა მთლიანად ბახის ნაწარმოებები შეიტანა. ორკესტრთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო საგუნდო კაპელა გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით.

ნინო გაბრიაძე.

გზა დავულოცოთ მომავალ ჩემპიონებს

„ჯიქი" სულ სამიოდე წლისაა, თუმცაღა თვითდამკვიდრება მოასწრო უკვე. ყმაწვილმა კარატისტებმა ამ ხნის მანძილზე ორი საერთაშორისო შეჯიბრება—სანქტ-პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირი და ამავე ქალაქში გამართული მსოფლიო ფესტივალი მოიგეს. ფესტივალზე მათ გუნდური პირველი ადგილი ხომ მოიპოვეს, ამასთან 13 მონაწილიდან თერთმეტი მედლებით დაბრუნდა სამშობლოში.

ჯიქი- 90
KARATE

— ჩვენ, ასე ვთქვათ, საკუთარი სავარჯიშო სისტემით ვმუშაობთ — ვცდილობთ კლასიკურ უკვე დამკვიდრებულ სტილს ჩვენი, წმინდა ქართული ელემენტები შევუხამოთ — ამბობს კლუბის პრეზიდენტი გოჩა ჯავახია, — შედეგებით უკმაყოფილო არა ვართ. უამრავ შეჯიბრებაზე გვიწვევენ, მაგრამ უსახსრობის გამო ხელ-ფეხი გვაქვს შებორკილი.

კლუბს სხვა პრობლემებიც აწუხებს — საკუთარი სავარჯიშო დარბაზი არა აქვს, აკლია ტრენაჟორები, ფორმა. ერთი სიტყვით, ჩვენი გაჭირვებული ყოფა სრულად აისახება მის ყოველდღიურობაშიც.

ბიჭები კი არაფერს ეპუებიან, ვარჯიშობენ, უფრო დიდი წარმატებებისათვის ემზადებიან. სხვათა შორის, კლუბში გოგონებიც ვარჯიშობენ (ჩემპიონები თუ ვერ გახდებიან, არამკითხე „თაყვანისმცემლების" თავიდან მოშორება მაინც არ გაუჭირდებათ).

კლუბი „ჯიქი-90"-ის კარი ღიაა მსურველთათვის. შეგიძლიათ მიაკითხოთ ინგოროყვას № 2-ში (მინისტრთა კაბინეტის შენობაში მოთავსებული სპორტული დარბაზი) ყოველდღე სამიდან 6 საათამდე. მისი ტელეფონებია

31-02-79,
68-11-85,
98-61-87.

გზას დავულოცავთ მომავალ ჩემპიონებს!

ლინა გიორგაძე

სპორტი

სოხუმის „ცხუმს" დახმარება სჭირდება

აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიას სპორტსმენებისთვისაც არ აუვლია გვერდი. ათიათასობით მშვიდობიან მცხოვრებთან ერთად მშობლიური ადგილები მიატოვეს სოხუმის „ცხუმის", ოჩამჩირის „ამირანის" და გალის „მზიურის" ფეხბურთელებმაც და მწვრთნელებმაც.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დასავლეთ საქართველოში დაძაბული სიტუაციის გამო გადაწყვიტა დროებით შეაჩეროს სამამულო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მიმდინარეობა, ფეხბურთის მრავალი თაყვანისმცემელი დაინტერესებულია სოხუმის „ცხუმის" ბედით, რომლის შექმნასა და თამაშს ჰქონდა არა მარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური, საერთო-ეროვნული მნიშვნელობაც.

„ცხუმის" კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ კაკულიამ ჩვენთან საუბარში თქვა, რომ გუნდის ყველა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა შეძლო დაეტოვებინა კონფლიქტის ზონა და ახლა სპორტსმენები იმყოფებიან თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თერჯოლასა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ჯერჯერობით დაწვრილებით არაფერი ვიცით „ცხუმის" კლუბის პრეზიდენტის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, მწვრთნელისა და მსაჯის გურამ გაბესკირიას ბედის შესახებ, რომელიც გასული წლის შემოდგომიდან ასრულებდა ქალაქ სოხუმის მერის მოვალეობას.

სოხუმისათვის სექტემბრის ბრძოლების დროს დაიღუპა „ცხუმის" ექიმი იური ხაბურზანია, რომელიც ქალაქის დამცველთა შორის იყო. სოხუმის კლუბის მთავარმა მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა მსაჯმა ნიკა ამირეჯიბმა გვაცნობა, რომ გუნდის მოთამაშენი „ნულიდან" იწყებენ: გუნდს არა აქვს ბურთები, სპორტული ფორმა, სატრანსპორტო საშუალებები, ტანსაცმელი — ყოველივე ეს სოხუმში დარჩა. ჯერჯერობით არ ვიცით, თუ სად იცხოვრებს და ივარჯიშებს გუნდი. „ცხუმის" გუნდის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს იმედი, რომ სპორტული საზოგადოებრიობა, რესპუბლიკის საფეხბურთო გუნდები, კომერციული სტრუქტურები შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან სოხუმის კლუბს, რომელიც მუდამ იყო ვაჟკაცობის, თავდადებისა და შრომისმოყვარეობის მაგალითი.

იმათ, ვისაც სურს დაეხმაროს კლუბს, შეუძლიათ სახსრები გადარიცხონ შემდეგი მისამართით: თბილისი, კომერციული ბანკი „საქართველო", საანგარიშსწორებო ანგარიში 700161319 მფო 522801, საფეხბურთო კლუბი „ცხუმი" — საანგარიშსწორებო ანგარიში 000609034. ყველა საინტერესო საკითხზე შეგიძლიათ მიმართოთ კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ნოდარ კაკულიას ტელეფონით —93-27-84 (დარეკეთ დილის ან საღამოს საათებში) ან მთავარ მწვრთნელს ნიკა ამირეჯიბს — 37-77-58.

კლუბის ხელმძღვანელობა სთხოვს აგრეთვე „ცხუმის" ყველა მოთამაშეს, რომლებიც ახლა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში იმყოფებიან, გამოცხადდნენ გუნდის კრებაზე, რომელიც გაიმართება პარასკევს, 15 ოქტომბერს 13 საათზე თბილისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობაში.

თენგიზ პაპკორია.

ხსოვნა

იგორ კრავცოვი



მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ჟურნალ „ეკონომიკის" მთავარი რედაქტორი იგორ ვასილის ძე კრავცოვი. ქართველ სწავლულ ეკონომისტთა და ჟურნალისტთა რიგებს გამოაკლდა ალალმართალი, უკეთილშობილესი ადამიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, თავისი ცხოვრების წესით უმაგალითო პიროვნება. ჟურნალისტურ საქმიანობასთან ერთად იგი უშურველად ემსახურებოდა ახალგაზრდა ეკონომისტების, სპეციალისტების აღზრდის საქმეს.

იგორ ვასილის ძე კრავცოვი დაიბადა 1930 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ბორჯომში საგეგმო განყოფილების ეკონომისტად, შემდეგ იგი ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა განაგრძო თსუში ჯერ მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე.

1976 წლიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე მუშაობდა ჟურნალ „ეკონომიკის" მთავარ რედაქტორად, მაგრამ უნივერსიტეტთან კავშირი არ გაუწყვეტია.

ბატონი იგორი მრავალი მეცნიერული შრომის, სტატიის ავტორია. მისი ძირითადი კვლევის სფერო იყო ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია, ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური ისტორიის საკითხები. არასოდეს არ ღალატობდა სიახლისა და აქტიური პრობლემებისადმი ყურადღების გამახვილების გრძნობა.

ბატონ იგორის დამოკიდებულება დიდთან თუ პატარასთან გამორჩეული იყო დიდი ადამიანობით, კაცური კაცობით, სიმართლით. მოკრძალებული და უხმაურო იყო თავისი საქმიანობით.

ნათელი და მართალი იყო ყოველი მისი სიტყვა თუ საქმე და ამ ნათელით ევლოს იმქვეყნიურ გზაზეც.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო;
საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო;
ჟურნალ „ეკონომიკის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია;
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია;
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი.

ჯონი გოგილაშვილი



კიდევ ერთი შესანიშნავი ვაჟკაცის სიცოცხლე შეიწირა ბოროტმოქმედის ტყვიამ. დაიღუპა პოლიციის კაპიტანი ჯონი ილიას ძე გოგილაშვილი.

ჯ. გოგილაშვილი დაიბადა 1966 წელს თბილისში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ 1989 წელს სამუშაოდ მოვიდა შს ორგანოებში და სამინისტროს განსაკუთრებული ინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი გახდა. ამ ხნის მანძილზე მან თავი გამოიჩინა, როგორც დისციპლინირებულმა, კეთილსინდისიერმა და ერთგულმა პიროვნებამ.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენს შორის აღარ იქნება ჭეშმარიტი მამულიშვილი. იგი უყვარდა ყველას, რადგან იყო ნაცნობმეგობრების, კოლეგების შემაკავშირებელი, მათი ჭირისა და ლხინის გულწრფელი გამზიარებელი, თითოეულის ტკივილის გულთან ახლოს მიმტანი, საქმეზე, ოჯახზე და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, სიკეთითა და სითბოთი აღსავსე ადამიანი.

ჭეშმარიტად ასეთი იყო ცხოვრებაში და სწორედ ამიტომ ასე გვიძლავს გულს მასთან განშორება.

სწორედ ამიტომ მარად დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულებში მისი ხსოვნა.

ნათელში ამყოფოს შენი სული, ჯონი. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო

ჟურნალ „ეკონომიკის" რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი

იგორ ვასილის ძე კრავცოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!

ქ. თბილისის „საქალაქო სატელეფონო ქსელი", გაცნობებთ, რომ [illegible]

1. ძირითადი ტელეფონის საამონენტო გადასახადი თვეში:
   - საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის — 12000 კუპონი.
   - არასაბიუჯეტო დაწესებულებებისათვის (სამეურნეო ანგარიშზე მყოფი წარმოება, კომერციული სტრუქტურები, ფირმები და სხვ.) — 36000 კუპონი.
2. საუწყებო სატელეფონო სადგურების შემაერთებელი ხაზების მომსახურების საამონენტო გადასახადი თვეში — 36000 კუპონი.
3. პარალელური (ტრანზიტი) ხაზის მომსახურების საამონენტო გადასახადი თვეში — 40000 კუპონი.

ს/ს „საქალაქო სატელეფონო ქსელი".

დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1994 წლის პირველ ნახევრისათვის!

მიმდინარე წლის 7 ოქტომბრიდან დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე 1994 წლის პირველი ნახევრისათვის. [illegible] 25 ნოემბრამდე. [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 18 ოქტომბერს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების განყოფილება 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მასალები ნაბეჭდი 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთი [illegible] „სამშობლო" [illegible] თბილისი, [illegible] ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, რეგისტრაციის ნომერი 0466.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

რაკი სახარების მოსმენა არ სურთ,

სხვა რაღა გზაა, კანონი უნდა წავუკითხოთ და პასუხის მოვთხოვოთ

[illegible]

ერთად უნდა ვებრძოლოთ

[illegible]

ზაურ მაკარაძე.